# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 2015 წელი.

№159 (7804)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.





5

## „ფრთხილად, ოკუპაციიდან ანექსიამდე ერთი ნაბიჯია“!

## აღინიშნა კონსტიტუციის დღე



**საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივაა, რომ კონსტიტუციის დღე უქმე დღედ გამოცხადდეს.** როგორც პრეზიდენტმა პრეზიდენტის რეზიდენციაში კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ეს კიდევ უფრო ხაზს გაუსვამს თითოეული მოქალაქის კუთვნილებას ამ დოკუმენტის მიმართ.

**„მე დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული ჩვენგანი, სწორედაც, რომ კონსტიტუციის პოპულარიზაციის მიზნით, მისი საერთო სახალხო დოკუმენტად გახდომის მიზნით, ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებმება“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე ინიციატივით, კონსტიტუციის პოპულარიზაციის მიზნით, დაწესდება საპრეზიდენტო ახალგაზრდული კონკურსი, რომელსაც ერქმევა — „ჩვენი კონსტიტუცია“.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილი,** პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი,** პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** და საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი.**

**პრემიერმა ამ დღის აღნიშვნისათვის პრეზიდენტს საჯაროდ მადლობა გადაუხადა.**

### თამარ სანიკიძე:

## მასწავლებლების ხელფასები საგრძნობლად მოიმატებს



4

### მიხეილ ღუნდუა:



## ქადაგიძის გავლენა ლარზე სექტემბერში დამარცხდება

3

**არ აჰყვეთ პანიკას!**




7

## თბილისელის დარდები

**ჯემალ ბეჟიტაშვილის „დრო და ფიქრების“ გამოძახილი**



## როცა ორი ძველი, ნამდვილი მეგობრიდან ერთი ჯერ ისევ მზეს შეჰყურებს, მაშინ თურმე, არც მეორეა მიწას ამოფარებული



6

# „ღამის სერენადები“ ბათუმსა და თბილისში

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 25 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე უკვე მეშვიდედ იმართება საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლიანა ისაკაძესთან და მის მიერ შექმნილ „მსოფლიო კამერულ ანსამბლ ვირტუოზებთან“ ერთად მსოფლიოში ცნობილი სოლისტები და დირიჟორები.**




2015 წელს, თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, ფესტივალს თბილისი-ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის სახელი მიენიჭა. საფესტივალო საღამოები ბათუმში უკვე დაიწყო და 30 აგვისტომდე გასტანს, ხოლო 2 და 3 სექტემბერს კონცერტები თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება. ფესტივალი 4 სექტემბერს, სასტუმრო „რედისონ ბლუ, ივერიაში“ დასკვნითი საქველმოქმედო საღამოთი დასრულდება. კონცერტიდან შემოსული თანხა, ლიანა ისაკაძისა და ანსამბლ „ვირტუოზების“ სურვილით, **„საქართველოს სოლიდარობის ფონდს“** ონკოლოგიური სენით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად გადაერიცხება.

ფესტივალის მთავარი პარტნიორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ბათუმის მერია, თბილისის საკრებულო, თბილისის მერია და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი.

**ნია ფიფია**

# ლარის კურსთან დაკავშირებით ადგილი აქვს გამოკვეთილ სპეკულაციას და აჟიოტაჟს

**პრემიერმა გუშინ მთავრობის სხდომიდან მოუწოდა ბიზნესმენებს და მოსახლეობას, ნუ აჰყვებიან მედიის და ექსპერტების მიერ შექმნილ ქაოსს და დაეყრდნონ მთავრობისა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინფორმაციას.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა განმარტებები გააკეთონ ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც საკუთარი რეზიუმე წარმოადგინა.




„მე მქონდა საუბარი კოლეგებთან. ასევე ვიცი, რომ თქვენც გქონდათ კომუნიკაცია ბანკების წარმომადგენლებთან და ეროვნულ ბანკთან. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზე გვაქვს აბსოლუტურად გამოკვეთილი სპეკულაცია და აჟიოტაჟი. ეს არის ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი. მინდა მოსახლეობას მივმართო, რომ არ აყვნენ ემოციურ აჟიოტაჟს და როგორც ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა თქვა, დიდი შანსია იმისა, რომ თუ ისინი აჟიოტაჟს წამოეგებიან, ძალიან მალე დაკარგავენ უფრო მეტს, ვიდრე მოიგებენ. მთავარია სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ჩვენს ეკონომიკაში, მაკროეკონომიკაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, პირიქით, ეს ეტაპი გადავლახეთ", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, 330 მილიონ დოლარზე ნაკლებია გასული ქვეყნიდან, ასევე აღმოფხვრილია დისბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის და არავითარი ფუნდამენტური პრობლემები ამ ეტაპზე არ გვაქვს.

მინდა მოსახლეობას მივმართო, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოს. მინდა ჩვენს მოქალაქეებს და ბიზნესმენებს ვუთხრა, ნუ აჰყვებიან მედიასაშუალებებს, მათ მიერ შექმნილ აჟიოტაჟს და ქაოსს და უპასუხისმგებლო ექსპერტებისა და პოლიტიკოსების გამონათქვამებს. ოფიციალური ინფორმაცია მომდინარეობს მთავრობისა და ეროვნული ბანკისგან. გთხოვთ, დაეყრდნოთ ამ ინფორმაციას და არა ვიღაც გაუგებარ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს, რომლებიც ყველაფრის ექსპერტები არიან", – განმარტა პრემიერმა.

მან ასევე მთავრობის მხრიდან ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

## შეიქმნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ნოდარ ჯავახიშვილს კახეთის გუბერნატორთან ერთად სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის შექმნა დაავალა.**

სტიქიის შედეგად კახეთის რეგიონსა და რაჭაში 1300 ოჯახს დაუზიანდა საცხოვრებელი სახლები.



გარდა შტაბის შექმნისა, მან ასევე ფინანსთა მინისტრს დაავალა, რომ გამონახოს საჭირო სახსრები სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად.

⦾ პარლამენტარი

# ვცდილობთ, უზრუნველვყოთ და გავზარდოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

**საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნის მნიშვნელობასა და რუსეთის შესაძლო რეაქციაზე, „ჯი-ეიჩ-ენის" კითხვებს საქართველოს პარლამენტის წევრმა ოთარ ჩრდილელმა უპასუხა.**



**– ბატონო ოთარ, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრი იხსნება. რამდენად პოზიტიურია ფაქტი ნატოსთან დაახლოების თვალსაზრისით?**

– ორიოდ დღეში, ოფიციალურად ჩაეყრება საფუძველი ნატო-საქართველოს ერთობლივ სასწავლო ცენტრს. ჩვენი ქვეყანა, ბოლო წლებში დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს ნატოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, რაც ჩვენმა პარტნიორებმა დადებითად შეაფასეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს, ნატოს მხარდაჭერით შექმნილი ცენტრის მართვის გამოცდილება საჩხერეში.

ვგულისხმობ მცოცავი ოკუპაციის არეალის გაფართოებას და აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოების კონკრეტული მიზნისთვის გამოსაყენებლად? – არის იმის გარანტია, რომ ნატოს სასწავლო ცენტრი გახდება რუსეთის აგრესიული მოქმედებების შემაკავებელი ფაქტორი?

**– რა რეაქციას უნდა ველოდოთ რუსეთისგან, რამდენად არის მოსალოდნელი ვითარების კიდევ უფრო გამწვავება?**

– რუსეთი სამწუხაროდ, ყოველთვის გამოხატავს შეშფოთებას, როდესაც საქმე ეხება, საქართველო-ნატოს ურთიერთობების გაღრმავებას. ჩვენ არ ვართ, ვინმეს წინააღმდეგ მობილიზაციაში ჩართულნი, ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ და გავზარდოთ, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა. ეს ჩვენი უფლებაა და ამაში გვეხმარებიან, უცხოელი პარტნიორები.

**– რუსეთი ღიად აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელის საკუთარ საზღვართან ნატოს სამხედრო ბაზები – ზოგადად ნატოს ყოფნა.**

– კიდე ერთხელ, ხაზგასმით ვამბობ, რომ ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი, არ არის სამხედრო ბაზა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, დიპლომატიურად და დასავლელ პარტნიორებთან კონსოლიდირებულად.

**– რუსეთის აგრესიული ქმედებების გათვალისწინებით არსებობს იმის გარანტია, რომ „მეტი ნატო საქართველოში" გახდება რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი?**

– რუსეთის სამხედრო დოქტრინით სამხედრო კონფლიქტის შეკავებისა და პრევენციისთვის გათვალისწინებული ზომები სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს: „ერთობლივი თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის თანაქმედებას, აფხაზეთის რესპუბლიკასთან და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან." მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთი ყოველთვის მოქმედებს, საკუთარი, იმპერიალისტური ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად და სისტემურად წავიწიოთ წინ – ევროატლანტიკური ინტეგრირებისაკენ. დღეს ბევრი მზარდი გამოწვევაა, მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე: საერთაშორისო ტერორიზმი, არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ხელოვნურად გაძლიერება და ა.შ. ზუსტად ამ და სხვა გამოწვევებისთვის გვჭირდება აღნიშნული სასწავლო ცენტრი, მეტსაც გეტყვით – ჩვენ, უელსის პაკეტით გათვალისწინებული სხვა ცენტრიც უნდა გავხსნათ, რათა სწრაფად შესრულდეს უელსში აღებული ვალდებულებები. ჩვენ ამ ტიპის ვალდებულებებს, მაქსიმალური სიზუსტით ვასრულებთ და ამის მორიგი დადასტურებაა, ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტი საქართველოში და ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა.

**ესაუბრა**
**გეგა სილაგავა**

## დევნილებს საცხოვრებელი 1 ლარად დაუკანონდათ

**1164 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცემა. აღნიშნული საკითხი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განსახილველად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაიტანეს.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მათ ერთობლივად იმუშავეს ამ საკითხზე. ღარიბაშვილის თქმით, 10 000-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება საცხოვრებელი ფართი და იმ პროცესის ფარგლებში, რომელიც გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

სულ 2012 წლიდან კი, პრემიერის ინფორმაციით, საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 5 120 დევნილ ოჯახს. ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

⦾ კულტურა

# ვარძიის გადარჩენის პროგრამა დაიწყო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული – ვარძიის გადარჩენის პროგრამის ფარგლებში დაწყებულია კომპლექსის ყველაზე დაზიანებული უბნების გამაგრება.**

კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ვარძიის კედლის მხატვრობის გადარჩენის პროგრამის ხელმძღვანელს დევიდ პარკსა და ვარძიის კლდის მხატვრობის კვლევისა და პროექტის დონორი ორგანიზაციის - დიდ ბრიტანეთში ჯექსონის ფონდის წარმომადგენლებს პიტ ბრაუნსა და ამანდა ტეილორს უმასპინძლა.

ღონისძიებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე დაესწრო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული – ვარძიის გადარჩენის პროგრამის ფარგლებში დაწყებულია კომპლექსის ყველაზე დაზიანებული უბნების გამაგრება და კონსერვაცია, დასკვნით ეტაპზეა ვარძიის უძველესი კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკური სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ, მიმდინარე წლის ბოლოს, სახელმწიფოს ექნება ვარძიის უძველესი მხატვრობის მდგომარეობის ანალიზი, სრული კვლევითი დოკუმენტაცია და კონსერვაციის ზუსტი მეთოდები. ვარძიაში ასევე მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა, რომლის შედეგად უკვე გამოვლენილია უპრეცედენტოდ დიდი მოცულობის 2 ახალი იარუსი და მასში არსებული 10 ქვაბული. საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების დარბაზებში უძველესი თონის, სათავსოების და ქვევრების ნაშთები იკვეთება, სადაც ერთი ათეული საუკუნის წინათ ღვინოს და მარცვლეულ კულტურას ინახავდნენ. ვარძიის ახლად გამოვლენილ უბანზე, ასევე აღმოჩენილია მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ჭურჭელი – ფიალა, ქოთანი, სარქველები, რკინის შუბისპირი და გოძალი, რომელსაც არქეოლოგები XIII-XIV საუკუნით ათარიღებენ.

ვარძიაში კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის მიზნით, სამუშაოები ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: კლდის კვლევა, კლდის გამაგრება-კონსერვაცია, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა, კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკა და ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.



ვარძიის პროექტი მნიშვნელოვანია მისი საგანმანათლებლო კუთხითაც. ვარძიის მხატვრობის კვლევა და გადარჩენა ხორცილედება თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და კონსერვაციის ფაკულტეტისა და ინგლისის კურტოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით, რაც ქართველ სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

**ნია ფიფია**

◉ ახალი თავში სახლელი

# აფხაზეთის რკინიგზა და საქართველოს საფრთხე რუსეთის მხრიდან



**საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის დარღვევად აფასებს რუსეთის მიერ რკინიზის აღდგენას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 33-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენაზე რამდენიმე ასეული რუსი სამხედრო მუშაობს. რა შეიძლება იდგეს მოსკოვისა და სოხუმის განზრახვის უკან და რატომ უნდა იყოს ფრთხილად თბილისი?**

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის რკინიგზის აღდგენაზე რუსეთის სარკინიგზო ჯარების 500-მდე სამხედრო 50 ერთეულზე მეტი სპეცტექნიკის გამოყენებით მუშაობს — ეს ინფორმაცია რუსეთის მედიას რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დმიტრი ბულგაკოვმა მიაწოდა.

როგორც, მაგალითად, „ინტერფაქსი“ იტყობინება ბულგაკოვის სიტყვებზე დაყრდნობით, საუბარია სარკინიგზო მონაკვეთზე ოჩამჩირის სადგურიდან ენგურის ხიდამდე და იმაზე, რომ რუსეთის სარკინიგზო ჯარები აფხაზეთში ივლისის ბოლოს დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიწვევით ჩავიდნენ.

**„სამუშაოები მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მიმდინარეობს და მიზნად ისახავს სარკინიგზო მოძრაობის აღდგენას რესპუბლიკაში“, ამბობს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და აზუსტებს, რომ საუბარია სარკინიგზო მონაკვეთზე, რომელიც აღარ ფუნქციონირებდა 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ. ამავე წყაროს ცნობით, 2008 წელს რუსეთის სარკინიგზო ჯარებმა აღადგინეს აფხაზეთის რკინიგზის 50-კილომეტრიანი მონაკვეთი და 9 ხიდი.**

**აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის პროცესს უკანონოს უწოდებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძეც. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არ მიმდინარეობს არანაირი მოლაპარაკება აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის დანარჩენი საქართველოს რკინიგზასთან მიერთების შესახებ. თუმცა ეს არ სჯერათ პოლიტიკურ ოპონენტებს.**

**საქართველოს ხელისუფლება, სამწუხაროდ, ვერ შეაჩერებს აფხაზეთის რკინიგზის აღდგენით სამუშაოებს. მას ამისათვის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია** , — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე, რომლის აზრითაც, რუსეთის შეჩერება მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიან ძალისხმევას შეუძლია. ანალიტიკოსი თვლის, რომ საქართველოს სიფრთხილე და წინდახედულება მართებს, რადგანაც რკინიგზის თემა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის თემას და ამიტომ არავის აქვს გაუთვლელი და ორაზროვანი ნაბიჯების გადადგმის უფლება. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში და პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი ვერ ხედავს კონკრეტულ ნიშნებს იმისა, რომ თბილისს ჩაფიქრებული ჰქონდეს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის მიერთება დარჩენილი საქართველოს რკინიგზასთან. თუმცა, როგორც ის აღნიშნავს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, თუკი შენი საკუთარი ინტერესებით იხელმძღვანელებ და შენთვის სასურველი შედეგის მიღებას შეეცდები, ნებისმიერ საკითხზე შეიძლება საუბარი და, მათ შორის, რკინიგზის აღდგენის თემაზეც. გია ხუხაშვილის აზრით, თუკი მიდგომა კვალიფიციური და გათვლილი იქნება, რკინიგზის აღდგენის თემა შესაძლოა იქცეს აფხაზეთის რეინტეგრაციის მცდელობის ერთ-ერთ პოზიტიურ მაგალითად, რადგანაც ადამიანებს კეთილდღეობა და თავისუფლება იზიდავს.

24 აგვისტოს, საღამოს, განცხადება გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ტექსტში ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში არაერთხელ გამოვლინდა რუსეთის პროვოკაციული ქმედებები საქართველოსთან მიმართებით. ამასთან, საგარეო უწყებისთვის ნიშანდობლივია, რომ „2008 წლის აგვისტოში, საქართველოში ინტერვენციამდე, რუსეთმა ასევე უკანონოდ დაიწყო აფხაზეთის რეგიონში რკინიგზის მონაკვეთის აღდგენა და საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარები შემოიყვანა, რაც შემდგომში ეფექტურად გამოიყენა საჯარისო ნაწილებისა და ტექნიკის ტრანსპორტირებისთვის სამხედრო მოქმედებების დროს“. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას პროვოკაციული ქმედებების შეწყვეტისკენ, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემისა და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისკენ.

**საგარეო უწყება მიმართავს ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მიეცეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის უკანონო პოლიტიკას და მიღებულ იქნას ზომები საიმისოდ, რომ არ დაუშვას რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.**

**ლელა კუნჭულია**

◉ მთავარი თემა

# არ აჰყვეთ პანიკას!

## მიხეილ დუნდუა:

## ლარზე ქადაგიძის გავლენა სექტემბერში დამარცხდება




**გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეროვნულმა ვალუტამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საგონებელში ჩააგდო: ლარის კურსი ლამის ყოველდღიურად ეცემა. შესაბამისად, თუ ერთი წლის წინ ლარის შეფარდება დოლართან 1,75-1,80 იყო, დღეს ეს მაჩვენებელი 2,36-ს გადასცდა. შექმნილ სიტუაციაში ხელისუფლებამ ლარის სტაბილიზაციის გეგმა შეიმუშავა, რომლის გამოც ექსპერტები ბევრს კამათობენ. მათი ნაწილი ლარს მძიმე შემოდგომას უწინასწარმეტყველებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი შემოდგომაზე ეროვნული ვალუტის დასტაბილურებაზე საუბრობს. მათ შორის არის ორგანიზაცია 20/30-ის წევრი მიხეილ დუნდუა. სწორედ მას ვთხოვეთ, ჩამოეთვალა ფაქტორები, რომლის გამოც შესაძლოა, ლარი სტაბილური გახდეს.**

ლარის კურსზე უპირველესად მოქმედებს საგარეო ვაჭრობის ბალანსი ანუ სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის. ჩვენ წლების განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გვქონდა, მაგრამ გასულ წელთან შედარებით, 2015 წლის შვიდ თვეში ეს მაჩვენებელი 100 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა ანუ შემცირდა უარყოფითი სალდო, რომელიც ეროვნული ვალუტის კურსზე უარყოფითად მოქმედებდა. ასე რომ, საგარეო ვაჭრობის მხრივ ამჟამად უკეთესი სიტუაცია გვაქვს, ვიდრე შარშან გვქონდა და სწორედ ეს მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. უაღრესად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის თანაბარი ხარჯვის ტენდენციაც. ბიუჯეტი საქართველოში ლამის ათწლეულების განმავლობაში არათანაბრად იხარჯებოდა, წელს ეს მდგომარეობა შეცვლილია და ქვეყნის ბიუჯეტი უკვე თანაბრად იხარჯება. ფინანსთა სამინსტრო ნაშთის დაგროვებასაც კი ცდილობს. ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტროს დაგროვილი აქვს 800 მილიონ ლარზე მეტი ნაშთი, რაც ლარის კურსის ხელშემწყობი სერიოზული ფაქტორია. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი 1 მილიარდამდე გაიზრდება, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე. სწორედ ეს არის ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც ლარის სტაბილიზაციას ხელს შეუწყობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც 2015 წელს სავალუტო ფონდის პორგნოზით უკეთესია, ვიდრე 2014 წელს იყო. წინასწარი პროგნოზით, ეს მაჩვენებელი იქნება 100 მილიონით უკეთესი, ვიდრე წინა წელს გვქონდა და 300 მილიონით უკეთესი, ვიდრე 2012, ან 2013 წელს იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ტურიზმის გააქტიურებაც, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ის ეკონომიკური პარამეტრებია, რომლებიც ლარის კურსს დაეხმარება. ერთადერთი, რაშიც კლება გვაქვს, საგარეო გადმორიცხვებია, მაგრამ ეს ფაქტორი კურსში უკვე ასახულია. თანაც, ის ვერ შეძლებს, გადაფაროს ყველა სხვა ფაქტორი, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე.

**— რომელია ლარის კურსზე მოქმედი ყველაზე უარყოფითი ფაქტორი?**

— ასეთი ფაქტორი, უპირველესად, ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკაა, რომელიც საბანკო სექტორის წმინდა დავალიანების ზრდაში გამოიხატება. საბანკო სექტორის დავალიანება უკვე 700 მილიონს სცდება, რაც ძალიან ბევრია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 50 მილიონის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო უფრო ადრე მინუსებში იყო, რადგან ეროვნულ ბანკს თვითონვე ჰქონდა დავალიანება კომერციული ბანკების მიმართ. ეროვნული ბანკის პოლიტიკა არის ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც ლარის კურსის სტაბილურობას ამუხრუჭებს და ხელს უშლის, სხვა ფუნდამენტური ფაქტორები გამოსწორებადია. აქვე ვიტყოდი, რომ რადგან ეროვნული ბანკის პოლიტიკა ხელოვნურია, მას მოკლევადიანი ეფექტი აქვს. ჩემი ვარაუდით, გიორგი ქადაგიძის ზეწოლა ლარზე სექტემბრში დამარცხდება. ბუნებრივია, ლარის აბსოლუტურ გამყარებას და ძველ ნიშნულზე ანუ 1,75-1,80-ზე ჩამოსვლას არავინ ელოდება — აქ საუბარია სტაბილურობაზე და გამყარების ტენდენციაზე, რაც აუცილებლად მოხდება.

**— ესე იგი, მძიმე შემოდგომა, რომელზეც ამდენს საუბრობენ, არ გველოდება?**

— მერწმუნეთ, ეს არის აჟიოტაჟის შექმნის მცდელობა. ამის დასამტკიცებლად რაღაც არგუმენტები ხომ უნდა ჩამოგვითვალონ? ახლა მთავარია, ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინოს სავალუტო ფონდის რეკომენდაცია და შეზღუდოს სესხების გაცემა დოლარში. დღეს საქართველოში განსაკუთრებით რთული ვითარებაა იმიტომ, რომ ლარი ერთადერთი საგადამხდელო ვალუტაა, მაგრამ სესხები დოლარში გაიცემა. სხვათა შორის, ევროპაში სესხები დოლარში რომ გაიცემოდეს, იქაც კრიზისი იქნებოდა. დღეს ჩვენს ეკონომიკას უმძიმეს ტვირთად აწევს დოლარში გაცემული სესხები. ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკა რომ არა, ჩვენი ვალუტა ამ დღეში არ იქნებოდა. ეროვნულმა ბანკმა ძალიან ბევრი რეკომენდაცია არ შეასრულა, რომელსაც სავალუტო ფონდი მოითხოვდა და შედეგიც სახეზე გვაქვს.

**— რა არის ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— ახლა მთავარია, მოსახლეობა არ აჰყვეს პანიკას, რომელიც დოლარის აჟიოტაჟურ შესყიდვას იწვევს და ლარის საქმეს უფრო მეტად ართულებს. თუმცა, მსგავსი პროცესები ხშირად ხანმოკლე ხასიათისაა და როგორც კი აჟიოტაჟი ჩაივლის, ლარი მაშინვე მყარდება ხოლმე. ასე მოხდა მაისში, როდესაც ლარის კურსი 2,35-2,36-მდე დაეცა, შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად, 2,25-მდე გამყარდა. ახლაც დაახლოებით იგივე მოხდება, რაც მაისში მოხდა და სექტემბრის ბოლოს სიტუაცია უკვე სტაბილური იქნება. იქამდე ალბათ კიდევ შეეცდებიან, აჟიოტაჟი შექმნან, მაგრამ საბოლოო ჯამში ვითარება მაინც სტაბილური გახდება.

**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

## საბანკო სექტორი კი რჩება მოგებული, მაგრამ - ხალხი?

**2015 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის, 16 — საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 — უცხოური ბანკის ფილიალით.**

**წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.2 მლრდ ლარით, ანუ 1.0 %-ით გაიზარდა და 23.6 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 0.2 %-ით გაიზარდა). საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 15.3 პროცენტია.**

**ეროვნული ბანკის ცნობით, უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 78.6 პროცენტი შეადგინა. გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ივლისის თვის წმინდა მოგებამ 39.0 მლნ ლარი შეადგინა. ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 79.0% შეადგინა.**

**ინტერპრესი**



**განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, არსებულ პრობლემებსა და მოსალოდნელ სიახლეებზე გვესაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე.**



# თამარ სანიკიძე: მასწავლებლების ხელფასები საგრძნობლად მოიმატებს

**– ქალბატონო თამარ, რა სიახლეებით ხვდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალ სასწავლო წელს?**

– როგორც წინა წლებში, წელსაც ზაფხული ცხელი გვაქვს. მზადება სხვადასხვა კუთხით მიმდინარეობს. ჩვენი ძირითადი მნიშვნელოვანი პრობლემა ინფრასტუქტურული მდგომარეობაა, ამიტომ დიდი რესურსია გადატანილი ამ კუთხით. წელს დაახლოებით 500-მდე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ არის სკოლების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც სერიოზული რესურსების ინვესტირება სჭირდება. მიმდინარეობს ახალი სკოლების მშენებლობა. 8 ახალი სკოლა უკვე დასრულებულია. 8 ახალი სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. სკოლების მოთხოვნების შესაბამისად, დაახლოებით 127 000 მერხი და სკამი შევიძინეთ, პარალელურად მიმდინარეობს ბიბლიოთეკების აღჭურვა. წელს გვექნება განახლებული კომპიუტერული ლაბორატორიები, ინტერნეტის თემაც ნელ-ნელა წინ მიიწევს. წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ამოქმედდება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაა. სქემამ ნამდვილად ძირ-ფესვიანად უნდა შეცვალოს სასკოლო ცხოვრება. მთელი ჩემი ყურადღება და ადამიანური რესურსი მიმართულია ამ სქემის ხარვეზების გარეშე დანერგვისკენ. სქემასთან დავაკავშირეთ სახელფასო პოლიტიკაც, 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდა ორჯერადად გვექნება განსახორციელებელი. სხვადასხვა დონეზე ხელფასი საგრძნობლად მოიმატებს. წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგების თემაა. სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით სქემას სახელფასო ცვლილებებთან ერთად ავამოქმედებთ. სექტემბრიდან საბაზო ხელფასი 50 ლარით გაიზრდება და გაიზრდება კატეგორიების დანამატები. საბაზო ხელფასი თუ იყო 305 ლარი, 355 ლარი გახდება, აპრილში კი ეს ხელფასი კიდევ 50 ლარით მოიმატებს და 405 ლარი იქნება, რაც ნიშნავს, რომ პროპორციულად გაიზრდება საშუალო ხელფასიც. საშუალო ხელფასის ზრდის გარდა, გაიზრდება დანამატები, რომელიც თითოეულ კარიერულ საფეხურზე განსხვავებული იქნება.

**– როდის იწყება სწავლა საჯარო სკოლებში, რამდენია რეგისტრირებულ პირველკლასელთა რაოდენობა, როდის დაურიგდებათ მოსწავლეებს „ბუკები“ და სახელმძღვანელოები?**

– საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება. დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო სკოლებში სულ დარეგისტრირებულია 46 660 მოსწავლე. სახელმძღვანელოები და „ბუკები“ მოსწავლეებს სკოლაში დახვდებათ. „ბუკებს“ მიიღებენ პირველკლასელები. „ბუკი“ განსაზღვრულია პირველი ოთხი სასწავლო წლისთვის, ამისათვის პროგრამების გადახალისება მიმდინარე რეჟიმში ხდება.

**– უკვე ცნობილია, რომ გასულ წელთან შედარებით, სამინისტრო წელს მნიშვნელოვნად ნაკლებ სახელმძღვანელოებს ბეჭდავს. პირველკლასელები მეორად წიგნებს მიიღებენ. რა განაპირობებს სამინისტროს ამ გადაწყვეტილებებს?**

– უფასო სახელმძღვანელოები ძალიან შრომატევადი პროექტია. ეს არ არის უბრალოდ წიგნის შესყიდვა და დარიგება. ეს არის მთელი სისტემის მონიტორინგი, არსებული სახელმძღვანელოების კონსოლიდაცია, გადარჩევა, დახარისხება, სკოლებში დაბრუნება, აღრიცხვა, თითოეული სახელმძღვანელოს შემოწმება. მადლობა ღმერთს, ეს პროცესები უკვე დავასრულეთ. ისევე, როგორც შარშან, წელსაც იქნება ახალი და ძველი სახელმძღვანელოების ნაზავი.

**– თუმცა, ძველი უფრო მეტი იქნება.**

– წელს სახელმძღვანელოების 60% გამოყენებული, 40 % კი ახალი იქნება.

**– რატომ არ ბეჭდავს „დედა ენას“ სამინისტრო? საჭიროება აღარ არის?**

– საჭიროება თუ არ არის, სამინისტრო არ დაბეჭდავს არც „დედა ენას“, არც რომელიმე სხვა კლასის რესურსს. სამინისტრო ბეჭდავს და ყიდულობს სახელმძღვანელოებს, რომელიც საჭიროა ქსელის შესავსებად. მბეჭდავ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 10%-იანი ლუფტი გვაქვს. თუ სახელმძღვანელოები დაგვაკლდა, ხელშეკრულების 10%-ის ღირებულების სახელმძღვანელოს თავიდან დაბეჭდვა შეგვიძლია, მაგრამ დღეს ამის საჭიროებაც არ არის. წიგნების საკმარისზე მეტი რაოდენობა გვაქვს და არის რეზერვიც.

**– როგორც ცნობილია, 2016-2017 წლიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები ამოქმედდება. რა სიახლეები შევიდა დოკუმენტში?**

– ძირითადი ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემდეგ აკადემიურ წელს გვექნება, გამოვაცხადებთ სახელმძღვანელოების კონკურსს. დავიწყებთ ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებას.

**– გამოდის, რომ მომავალ წელს სამინისტროს მოსწავლეების 100%-ით ახალი წიგნებით უზრუნველყოფა მოუწევს.**

– ეს დამოკიდებულია, როგორ დავნერგავთ ახალ გეგმას. თუ პირველ ოთხ ან პირველ ორ კლასს დავნერგავთ, შესაბამისად ის სახელმძღვანელო სრულიად ახალი იქნება. დასადგენია დანერგვის ეტაპები. გამოცხადდება კონკურსი, ავტორები მათ ნაშორმებს წარადგენენ, სამინისტრო შეაფასებს და საუკეთესო ვერსიებს მივანიჭებთ გრიფს. ჩვენ ვფიქრობთ, თითო საგანში მინიმუმ ორი ალტერნატივა მაინც უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, მთლიანად გადავხედეთ საზოგადოებრივი მეცნიერებების თემას. აქცენტი გავაკეთეთ თემატიკაზე, რომელიც გვჭირდება და ჩვენნაირი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. ჩამოვაყალიბეთ სტანდარტი და გავაკეთეთ პროგრამა.

**– საპატრიარქოში გამართულ ბოლო სხდომაზე, წმინდა სინოდმა გამოთქვა სურვილი, დანერგვამდე განათლების სამინისტროს ახალი პროექტის განხილვა ეკლესიის, რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობითა და ფართო საზოგადოების ჩართულობით მომხდარიყო. საუბარია ახალი საგნების – „მე და საზოგადოება“ და „მე და სამშობლოს“ სწავლებაზე. თუ უზრუნველყო სამინისტრომ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია?**

– რა თქმა უნდა, ეს პროცესები თავიდან ბოლომდე გახსნილი იყო. მონაწილეობდნენ როგორც საპატრიარქოს განათლების კომიტეტის წარმომადგენელი, ასევე ყველა დაინტერესებული პირი. მრავალჯერადი განხილვა მოხდა, იყო გარკვეული შენიშვნები, კომენტარები, ნაწილი გავითვალისწინეთ, ნაწილი-არა, მაგრამ მიღებული სტანდარტი და პროგრამა ნამდვილად ოპტიმალური და ყველასთვის მისაღებია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი წინ არის, როგორც ლიტერატურას, საგანმანათლებლო რესურსს შევარჩევთ.

**– რამდენიმე თვის წინათ, თქვენ სკოლის გამოსაშვები და ეროვნული გამოცდების გაერთიანების ინიციატივა გაახმაურეთ. მუშაობს თუ არა ამ საკითხზე სამინისტრო?**

– სამინისტრო ამ იდეის ირგვლივ, რა თქმა უნდა, მუშაობს. გარკვეულ ინფორმაციას ხარისხის ეროვნული ცენტრისგან ველოდები. ამაზეა დამოკიდებული დაფინანსების მოდელი. ხოლო, როდესაც დაფინანსების მოდელზე ჩამოვყალიბდებით, ეროვნული გამოცდების სისტემის გადახედვას დავიწყებთ.

**– ექსპერტთა ნაწილი ეროვნული გამოცდების სისტემის გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობს. თქვენ რა კუთხით ხედავთ ცვლილებების საჭიროებას?**

– პირველ ყოვლისა, შესაცვლელია უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა. ჩვენ დღეს დაფინანსების და საგამოცდო სისტემა ერთმანეთთან გვაქვს დაკავშირებული. პირველ რიგში, უნდა ჩამოვყალიბდეთ დაფინანსების სისტემაზე, შემდეგ მოვარგოთ ეროვნული გამოცდები. ეროვნული გამოცდები წარმოგვიდგენია, რომ იქნება ერთი და არა ორი, როგორც ახლა არის გაყოფილი სკოლის და უმაღლესის დონეზე, თუმცა რა სახით, - ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. მოდელთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულად ახალ წლამდე მეცოდინება.

**– იმ ფონზე, რომ ყოველწლიურად არსებობს გარკვეული კონტინგენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ვერ ახერხებს და უმაღლესი სასწავლებლის მიღმა რჩება, როგორია მოთხოვნა პროფესიულ სასწავლებლებზე?**

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ პროფესიულ განათლებაში ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ. ერთადერთი, რაც ჩვენ გვჭირდება პროფესიული განათლების პოპულარიზაციაა. არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, ე.წ. პროფტექნიკუმები გარკვეულ სადამსჯელო იარაღს წარმოადგენდა. პროფესიულ განათლებას ამ კუთხით დღეს არ მოვისაზრებთ. პროფესიულ განათლებაში ჩართულ ადამიანებზე დგას ქვეყნის ეკონომიკა. განსხვავებული მეთოდოლოგიით ახალი სტანდარტები ჩამოყალიბდა. პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა უფასოა, რაც ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება მიმართვიანობას, ამ საკითხს მუდმივად ვაკონტროლებთ. 2013 წელს მიმართვიანობა ცოტა დაბალი იყო, 2014 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე უკეთესი მდგომარეობა იყო, მოთხოვნა თანდათან იზრდება.

**– რაც შეეხება სასკოლო მზაობის პროგრამას. როგორც ცნობილია, პროგრამაზე მუშაობა დასრულებულია. ვინ და სად მოახერხებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობას?**

– საბავშვო ბაღებში ყველგან დაინერგება პროგრამა, სადაც შესაბამისი ასაკის ბავშვები იქნებიან. მაგრამ რადგან თბილისი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პრობლემატურია, ჩვენ გამოვყავით სასკოლო ინფრასტრუქტურა, სადაც ამ პროგრამის განხორციელება იქნება შესაძლებელი. თბილისში შევთავაზეთ 50 საჯარო სკოლის ტერიტორიაც, რათა ადგილების პრობლემა არ ყოფილიყო. რეგიონებში ადგილის პრობლემა არ არის..

**– რას ისწავლიან ბავშვები?**

– ბავშვები ისწავლიან თამაშით. ეს არის მიდგომა, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ. დამერწმუნეთ, ეს ბავშვები შემდეგი სასწავლო წლისთვის ბევრად კარგად მომზადებულები იქნებიან. წერა-კითხვას არ სწავლობენ. ისინი შეიძენენ იმ უნარებს, რომელიც დაჭირდებათ სწორედ წერისა და კითხვისათვის. პროგრამა არის ყოველდღიური, სამ საათიანი. სწავლა დაიწყება ოქტომბერში და დასრულდება მაისის ბოლოს. პირველადი რეგისტრაცია გაკეთებულია კონტიგენტის სანახავად, მაგრამ თითოეული საბავშვო ბაღის და სკოლის მიხედვით ბაღების სააგენტოს მიერ სექტემბრის დასაწყისში რეგისტრაცია კიდევ გამოცხადდება, სადაც მშობლები შეძლებენ ბავშვები ფიზიკურად დაარეგისტრირონ იმ მისამართებზე, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ.

ესაუბრა
**ანა მარშანია**

## ალიან-ჩალიანი

### როგორ ხვდებიან თელავის სკოლები ახალ სასწავლო წელს?!!

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები რეგიონების საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პროცესს ეცნობიან. მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა თელავის რამდენიმე სკოლა მოინახულეს და პირველ რიგში მოსწავლეებისათვის გადასაცემი სახელმძღვანელოები დაათვალიერეს.**

**„თელავის სკოლებში მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა აქტიურ ფაზაშია. დასრულებულია არსებული სახელმძღვანელოების დახარისხება და ისე როგორც ყველა საჯარო სკოლაში, სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს მიიღებს. პაკეტი მოიცავს როგორც მაღალი ქულით შეფასებულ, უკვე გამოყენებულ სახელმძღვანელოებს და ასევე, ახალ წიგნებს“, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ბოლო წლებში თელავის სკოლებში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სკოლები ახალი ინვენტარით აღიჭურვა, რამდენიმე სკოლაში ექიმის კაბინეტი მოეწყო, პროცესი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.**

### სავალალო სტატისტიკა

**ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის 812 შემთხვევა დაფიქსირდა. „ინტერპრესნიუსმა„ ჯანდაცვის სამინისტროდან სტატისტიკური მონაცემები გამოითხოვა, რომლის მიხედვით, იგივე პერიოდში ბავშვთა მკვდრადშობადობის 919 შემთხვევა დაფიქსირდა. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, იდენტურ პერიოდში 1-5 წლამდე 97 ბავშვია გარდაცვლილი; მშობიარობის შედეგად კი, 30 დედა დაიღუპა.**

**2015 წლის 6 თვის მონაცემები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, შემცირებულია.**

ინტერპრესი

# „ფრთხილად, ოკუპაციიდან ანექსიამდე ერთი ნაბიჯია“!




ამას წინათ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, რომ მომავალი წლის ვარშავის ნატოს სამიტზე საქართველოსთვის მაპ-ის მიცემის საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. ამის მისაღწევად კი, ნატოს ხელმძღვანელობის და ალიანსის წევრი 28 სახელმწიფოს მიმართ მისი „ტონი კატეგორიული იქნება“ და რომ ყველამ იცის ის, თუ რამდენად „გულწრფელი პოლიტიკოსია“იგი, ანუ რასაც ამბობს ხიდაშელი, ეს „ხუმრობა არ ეგონოს ვინმეს“ მოკლედ, იმის ამბავს წვრილად არ მოვყვები, რაც დაკავშირებულია ნატოს მიერ მაპ-ის საქართველსთვის მინიჭება-არ მინიჭებასთან, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ მაპ-ის საქართველოზე მიცემის უპირველესი წინააღმდეგი ქვეყანა გახლავთ გერმანია და მისი კანცლერი, ანგელა მერკელი! ხოლო, ნატოში ამ გადაწყვეტილების მიღება-არმიღებისას ამ ფაქტს მუდამ ითვალისწინებს, — მთელი „ძველი ევროპის“ სახელმწიფოები, დაწყებული საფრანგეთიდან და დამთავრებული ჯუჯა ლუქსემბურგით!! მოკლედ, როგორ აპირებს ქ-ნი ხიდაშელი სასურველი შედეგის მიღწევას, რჩება დიდ გამოცანად... არადა, ქართველი საზოგადოებისთვის ყალბი მოლოდინების გაჩენა დიდად დააზარალებს საქართველოს ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ ვარშავის სამიტი გაისად ივლისში იმართება და საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კი იმავე წლის ოქტომბერში!..ალბათ, ისევ „ქალური ლოგიკა“ თუ დაგვეხმარება, ანუ — ხიდაშელი „ფეხებს დაუბაკუნებს“ და „შეშინებული“ მერკელი მაპ-ს მოგვცემს“, რასაც ნატოს წევრი დანარჩენი 27 სახელმწიფოც დაეთანხმება?!

სულ ცოტა ხნის წინათ, კი, რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა, განაცხადა: „რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსფარანტების თუ ტრაფარეტების, რასაც დგამენ ჩვენს მიწაზე, უკან, ოფიციალური, საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვრისკენ გადაწევა“. აი ასე, მკვეთრად „სააკაშვილისეული სტილის“ განცხადება „გვაჩუქა“ სამხედრო მინისტრმა. მერე და, რა გაკეთდა ამით? სახელმწიფო საქმისთვის არც არაფერი, პირადი ფიარისთვის კი ის, რომ ხიდაშელმა მის „რეკომენდატორებს დაანახა“, თუ როგორი „მკაცრი და შეუვალია“ იგი რუსეთის მიმართ. კი, მაგრამ, „ეს ხომ უკვე ნანახი გვაქვს“ და რით დამთავრდა ისიც გვახსოვს, არა? თუ, ხიდაშელიც სააკაშვილივით თანახმაა, რომ მომავალში რეკომენდატორებმა „გუბერნატორად გაამწესონ“ უკრაინის რომელიმე ოლქში? რაც უნდა ის უქნია, მაგრამ — საქართველომ რა დააშავა, რომ ასეთი „მზრუნველი და წინდახედული“ პოლიტიკოსების ხელშია, უკვე არაერთი წელია? ხიდაშელი, იურისტ-უფლებადამცველი იყო და როგორც ჩანს, დარჩა ასეთად, ეს აშკარად შეიმჩნევა მის რიტორიკაში, ამიტომ, ხელისუფალნო, რაც უფრო მალე მოაშორებთ მას, „ომობანას მინისტრის როლს“, მით უკეთესი იქნება საქართველოს უსაფრთხოებისათვის! დიახ, „გააჩერეთ“ ხიდაშელი და დააბრუნეთ პარლამენტში, ან არასამთავრობო სექტორში, სადაც აიდგა ფეხი და სადაც მას კიდევ შეუძლია რაღაც სარგებლის მოტანა! თავდაცვის მინისტრის მხრიდან, ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება სრული უცოდინრობა და პოლიტიკური სიბეცეა, რაც ქვეყნისთვის საფრთხეს შეიცავს! დიახ, ეტყობა ხიდაშელს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რაზეც საუბრობს, მთავარია, „ხმამაღლა თქვას და რიხიანად“, ხოლო ამას რა შეიძლება მოჰყვეს, არც ანაღვლებს! არადა, ეს გახლავთ უსერიოზულესი პრობლემა, ქვეყნის დეოკუპაცია, რომლის არ ცოდნაც, არათუ დეოკუპაციის საშუალებას მოგვცემს, არამედ უფრო გააღრმავებს და გაახანგრძლივებს უცხო სახელმწიფოს ჯარების ყოფნას ქვეყანაში! კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით „გადაეცით“ ხიდაშელს, რომ რუსეთის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო თანამეგობრობაში უმნიშვნელოვანესია, უწინარესად კი, გლობალური ბირთვული უსაფრთხოების ჭრილში და ის გეოპოლიტიკური დაპირისპირება დასავლეთთან უკრაინის კრიზისის გამო, ამის დადასტურებაა. რუსეთის ჩართულობის გარეშე, მიუხედავად მისი აგრესიული ქმედებებისა, არც ერთი გლობალური უსაფრთხოების საკითხი მსოფლიოში არ იხილება და მის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ. ამიტომ, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მისაღწევად აუცილებელი იქნება, რომ დასავლეთის და რუსეთის შეთანხმება მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებამ ამისთვის უნდა იზრუნოს. შეგახსენებთ, რაც სააკაშვილის პრეზიდენტობისას ხდებოდა, იგი ოკუპანტ რუსებს ისე „ამკობდა“, თითქოს, დღეს თუ არა ხვალ დაპანღურებით გადარეკავდა კავკასიონის ქედს იქით! დღეს, ხიდაშელიც იგივეს აგრძელებს, რასაც სააკაშვილი, უბრალოდ, „გადარჩენილები“ ვართ, რომ ქ-ნი მინისტრი „პრეზიდენტი არ არის“, თორემ რუსს „არ დაეზარებოდა გაეკეთებინა იგივე, რაც გააკეთა სააკაშვილის დროს“.

დიახ, გაიხსენეთ, როგორ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების („ვარშავის ბლოკი“) დეოკუპაცია, — მოლაპარაკებების შედეგად, ურთიერთგაგების და ურთიერთშეთანხმების ატმოსფეროში. გახსოვთ, რუსეთის პრეზიდენტი ელცინი („გაგლეჯილი“ მთვრალი!), როგორ დირიჟორობდა სიმფონიურ ორკესტრს ბერლინში რუსეთის ჯარების აღლუმის დროს, გერმანიის კანცლერის კოლის თანდასწრებით! ავღანეთშიც, სწორედ დიალოგის რეჟიმი უძღოდა წინ ავღანეთის დეოკუპაციას, სადაც რუსებმა 9-წლიანი ოკუპაციის შედეგად 1 მილიონ ავღანელს სიცოცხლე მოუსპეს!! მოკლედ, XX-XXI საუკუნეში არ არსებობს მაგალითი, რომ რუსულ ჯარებს „სირბილით, თავქუდმოგლეჯილებს“ დაეტოვებინოთ ესა თუ ის ქვეყანა და „თავისი ხელით წაეყარათ თავზე ნაცარი“ (როგორც ხიდაშელი „მოთხოვს“)! ასე რომ, ყველა სახელმწიფომ, სადაც იდგა რუსეთის სამხედრო კონტინგენტი, მხოლოდ მოლაპარაკების და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის შემდეგ, რუსეთის სამხედროების გაყვანას და სრულ დეოკუპაციას მიაღწია.

ეს რაც შეეხება საქართველოს დეოკუპაციის საკითხს, ახლა, ქვეყნის შეიარაღების თემაც განვიხილოთ, ორიოდე სიტყვით! ჯერ იყო და, ალასანიამ „გაგვაყრუა“, არიქა, მნიშვნელოვან სამხედრო კონტრაქტს ვაწერდი ხელს ფრანგებთან და შემიშალესო, აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი ჯანელიძის დროს გაგრძელდა ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მაგრამ, „ხიდაშელი რის ხიდაშელია“, რომ ალასანიაზე (“კონკურენტი ფირმა“!) ხმამაღლა არ განეცხადებინა ამის შესახებ! რა გითხრათ, იცით, ხელისუფლებას მივმართავ, განა ზუსტად ასეთი რიტორიკა არ ჰქონდა სააკაშვილს, როგორიც აქვს ხიდაშელს? გაიხსენეთ, მუდამ ასეთი გზავნილები არ ისმოდა მისგან, რომ — „მალე დაიწყებოდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შეიარაღების განლაგება საქართველოში“ და სხვა?! რა ეგონა მაშინ სააკაშვილს და რა ჰგონია დღეს ხიდაშელს, რომ ამ „ახალი ამბავის“ გაგონების შემდეგ, რუსებს შეეშინდებათ და გაიქცევიან?! გინდათ, გითხრათ, თუ რას მოიმოქმედებენ რუსები ამ შემთხვევაში?! რუსეთი, დამატებით ძალებს განათავსებს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ და აფხაზეთში, შემოიტანს დიდი რაოდენობით — „გრადს, სმერჩს, იგლას, ტოჩკას, ოსას“, — ისინი, ათასი სხვა სახის იარაღით დახუნძლავენ მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენს რეგიონებს და ამით, რეალური საფრთხე შეექმნება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებსაც!! მე მაინტერესებს, სანქციებზე, რადგანაც საქართველო „უფრთხილდება“ იმ პოზიტიურ შედეგებს, რომელიც აბაშიძე-კარასინის ფორმატის არსებობის მეშვეობით მიღწეულია... მაგრამ, სწორედ ამ ფონზე აბსოლუტურად გაუგებარი ხდება, საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის გახშირებული განცხადებები, რომლებიც მიმართულია, უშუალოდ რუსეთის პრეზიდენტის მისამართით. ორიოდე დღის წინათ, ერთ-ერთ ინტერვიუში ხიდაშელმა წარმოსთქვა ასეთი ფრაზა: „მე არ ველოდები რაიმე განსაკუთრებულ გართულებებს საწვრთნელი ცენტრის (ნატოს) გახსნის დროს ან ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტის პერიოდში. ყველაზე მეტი გარანტია საქართველოს უსაფრთხოების არის სწორედ ასეთი დღეები, როდესაც ქვეყანას ასეთი მაღალი დონის დელეგაციები სტუმრობენ. ბევრ შეცდომას უშვებს პრეზიდენტი პუტინი, მაგრამ იმ ტიპის შეცდომებს არ უშვებს, რომ ასეთი მაღალი დონის ვიზიტის დროს მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც შესაძლოა, მისი საბრალდებო სკამზე გაგზავნის საფუძველი გახდეს“, — ციტატის დასასრული!.. ახლა კი გეკითხებით, როგორ მიგაჩნიათ, ასეთი შინაარსის ფრაზეოლოგია შეესატყვისება საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეულ სტრატეგიას და რიტორიკას რუსეთთან მიმართებაში, ან კიდევ, პრემიერ ღარიბაშვილის უკანასკნელ განცხადებას?! რა თქმა უნდა, რომ, არა, პირიქით, ძაბავს ისედაც დაძაბულ პოლიტიკურ ატმოსფეროს ორ სახელმწიფოს შორის! მეტიც, მინისტრ ხიდაშელის ციტატა პირდაპირ ეწინააღმდეგება ხელისუფლების და პრემიერ-მინისტრის პოზიციას, რადგანაც ოფიციალურ (ალბათ, ქართველი საზოგადოების დიდ უმრავლესობასაც) მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში ვინ იქნება პასუხისმგებელი, მხოლოდ თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი, თუ მთლიანად ხელისუფლება?! უკაცრავად, „მწარე“ შეკითხვაა? ჰოდა, თუ გინდათ, რომ „გატკბილდეს“, დროულად მიიღეთ გონიერი გადაწყვეტილებები და ყველა კადრს „შესაბამისი თანამდებობა მიუჩინეთ“, თორემ მწარედ ინანებთ!..

გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებაში დიალოგის და ორმხრივი ურთიერთობების დარეგულირების სტრატეგია აირჩია, რის გამოც შეიქმნა აბაშიძე-კარასინის ფორმატი და რომელსაც პოზიტიური შედეგები აქვს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში. ამასთანავე, სულ ახლახანს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია საქართველოს შეერთებისა დასავლეთის მიერ რუსეთის მისამართით დაწესებულ დონეზე, ან საჯარო სივრცეში პრემიერი ღარიბაშვილი არც ერთ თავის გამოსვლაში შეურაცხმყოფელ რიტორიკას არ მიმართავს, როდესაც საუბარი შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პრობლემატიკას და იგი მტკიცედ მიყვება შემუშავებულ სტრატეგიულ კურსს. ესეც რომ არ იყოს, რა თავდაცვის მინისტრის საქმეა სხვა სახელმწიფოს პირველი პირის ამ კონტექსტში მოხსენიება (..რაც შესაძლოა, მისი საბრალდებო სკამზე გაგზავნის საფუძველი გახდეს“!), მით უმეტეს, რომ ამ სახელმწიფოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებისა 20 % აქვს ოკუპირებული და მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებებით არის შესაძლებელი დეოკუპაციის მიღწევა?! რაშია საქმე, ხიდაშელს, როგორც პოლიტიკოსს — „თავი მეტი ხომ არ ჰგონია“, ვიდრე არის სინამდვილეში?! იქნებ, ხიდაშელს როგორც თავდაცვის მინისტრს, „ვინმემ, დამოუკიდებელი ავტონომიური უფლებები მიანიჭა“ საქართველოს ხელისუფლებაში“?! უკეთეს შემთხვევაში, ხიდაშელის ასეთი შეურაცხმყოფელი რიტორიკა, გამოწვეულია მისი სურვილით, რომ გააპიაროს საკუთარი თავი, ანუ იგი გვეუბნება, — „შემომხედეთ, რა უშიში“ ვარო. მოკლედ, პრემიერი ღარიბაშვილი და მთლიანად ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რომელ სტრატეგიას ადგას სახელმწიფო, ვის და რა ფუნქციები აქვს მთავრობაში (მკაცრად გამიჯნოს!), თორემ, ხიდაშელმა თუ ასე განაგრძო პუტინის ლანძღვა, მაშინ, არათუ ურთიერთობის დარეგულირება მოხერხდება რუსეთთან, არამედ შესაძლებელია, რომ მისი ასეთი „აქტიურობა საკაშვილის სტილში“, გახდეს საბაბი თუ მიზეზი — „ახალი რუსული სიურპრიზებისა“ საქართველოს წინააღმდეგ!..

ორიოდე თვის წინათ,საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნატოს შტაბბინაში გამართული შეხვედრების შესახებ განაცხადა, ნატოში მიაჩნიათ, რომ თუ საქართველო აბაშიძე-კარასინის ფორმატს გაწყვეტს, ჩვენი საქმე მაპ-ის მიღების თვალსაზრისით გართულდებაო! დავით უსუფაშვილი: „ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც მეკითხებოდნენ, იყო ის, ხომ არ აპირებს საქართველოს მთავრობა აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაუქმებას მართლა, იმიტომ, რომ მათ მუდმივად ესმით ასეთი განცხადებები ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან და თვლიან, რომ თუ ეს ასე გაკეთდება და მთავრობა გაწყვეტს რუსეთთან ურთიერთობის, ამ ძალიან მცირე, არც თუ ეფექტურ, მაგრამ აუცილებელ ხაზებს მაშინ ჩვენი საქმე გართულდება ნატო-სთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მაპ-ის მიღების თვალსაზრისით და არ გაუმჯობესდება, რადგან საქართველოსთვის მაპ-ის მოცემა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება არ არის გააზრებული და მონდომებული ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან იმისთვის, რომ ხვალ ახალ კონფლიქტში შევიდნენ რუსეთთან. ნატო არ ეძებს რუსეთთან კონფლიქტში შესვლის ახალ მიზეზს და საბაბს“!! ვფიქრობ, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ უსუფაშვილის ეს გზავნილი მთლიანად ცვლის იმ პოლიტიკურ კონტექსტს, რომელსაც უკანასკნელი წლების მანძილზე „ერთგულად იცავდა“ დღევანდელი ხელისუფლება! უსუფაშვილის ამ განცხადებამდე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება „ნაცმოძის“ ხელისუფლების დროინდელ ტაქტიკას და კლიშეებს იცავდა, როცა საკითხი ეხებოდა ნატო-საქართველო-რუსეთის თემატიკას, უსუფაშვილმა კი (ვისი შეგონებით?!), „გახსნა ფრჩხილი და ამცნო“ ქართველ საზოგადოებას ის, რაზედაც წლებია, ვსაუბრობთ ზოგიერთები და ჯიუტად არ გვისმენენ!.. რა მაქვს მხედველობაში? ის, რომ უსუფაშვილის ამ „აღიარებითმა განცხადებამ“ ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებას თვალი უნდა აუხილოს:

1) საქართველოს ნატოში გაწევრების შესაძლებლობას, თავად ნატოში განიხილავენ რუსეთის პოზიციის გათვალისწინებით და არა ისე, როგორც აქამდე ამტკიცებდნენ ჩვენი პოლიტიკოსები (წინა თუ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები), თითქოს, „მესამე ქვეყნას“, ანუ რუსეთს, არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ საკითხზე!

2) საქართველოს ორ ოკუპირებულ რეგიონში რუსული სამხედრო ბაზების არსებობის პირობებში, გამორიცხულია ფიქრიც კი ნატოში შესვლაზე, თუნდაც მაპ-ის მიღებაზე. ანუ, როცა ჩვენი ვაიპოლიტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ ქვეყნის გამთლიანების (დეოკუპაცია) საკითხზე წინ, ნატოში შესვლაა უფრო მთავარი და რომ რუსული ბაზების არსებობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელს ვერ შეუშლის ნატოში საქართველოს გაწევრიანებას, ეს გახლავთ 100% — ით მცდარი მოსაზრება, მეტიც, ქართველი საზოგადოების მოტყუება!

იხ. 6 გვ.

დამარცხებული სიკვდილი

# როცა ორი ძველი, ნამდვილი მეგობრიდან ერთი ჯერ ისევ მზეს შეჰყურებს, მაშინ თურმე, არც მეორეა მიწას ამოფარებული,

## ანუ სასწაული შიომღვიმის სიახლოვეს, მცხეთის სასაფლაოზე



აბელ უფროსი და აბელ უმცროსი გეგიები

**მეც, თქვენც და სხვამაც, რა თქმა უნდა, მრავალგვარი მეგობრობის ათასნაირი ამბავი ვიცით. ზოგს თავად შევსწრებივართ, ზოგი წაგვიკითხავს, ბევრიც მოგვისმენია.**

როგორც ყველაფერს ამქვეყნად, რასაკვირველია, მეგობრობასაც თავისი ასაკი აქვს. მაგრამ ყველა სხვა ასაკისგან განსხვავებით, ნამდვილ უტყუარ, გულისგული მეგობრობის ასაკს, როგორცს ამ ბოლო დროს სათვალმჩენოდ დავრწმუნდი, დაბერება არა სცოდნია, ხანმრავლობა თურმე, პირიქით, უფრო აძლიერებს და აღონიერებს.

ზოგადი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, ერთ ისეთ მაგალითს მოვიშველიებ, მე თავადვე სასწაული რომ მგონია. ისინი, ვისზეც ვლაპარკობ, ახლა ერთად ას სამოცდათვრამეტი წლისანი არიან. არც ერთი და არც მეორე არასოდეს თავის ასაკს ცალკე არ ამბობდა. მუდამ ერთი საერთო სიცოცხლით და ერთი საერთო ასაკით ცხოვრობდნენ.

მთელი არაერთი ათეული წლის სიგრძეზე აბელის ოჯახში, როგორც იტყვიან, წყალი არ გამთბარა, რომ იქ ვალერიანი არ ყოფილიყო, ასევე იყო უგამონაკლისოდ ვალერიანის ოჯახშიც. ბუნებას ერთი სიცოცხლე თითქოს ორ კაცად შეექმნა.

გაისად ორივენი, ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ტყუპი ძმების მსგავსად ტყუპი მეგობრები, ერთად აღნიშნავდნენ თავიანთი დაბადების ასოთხმოცი წლისთავს. მაგრამ აბელს უვალერიანოდ მოუწევს ამ თარილის აღნიშვნა. თუმცა, გადაწყვეტილი აქვს, რომ სიკვდილის გამოსაჯავრებლად ისევ ას ოთხმოც კაცზე გაშალოს ერთ სიცოცხლედ შექმნილი ორი კაცის საიუბილეო სუფრა...

აბელი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მუდამ სამართლიანი სიტყვის კაცი იყო, მუდამ თემიდას უტყუარი სასწორი ეჭირა ხელში და არცროდის სამართალს არ შეუჩივლია, ნუ მამრუდებ, სწორად ამწონეო. აბელისგან განსხვავებით, ვალერიანი მხატვრული სიტყვის კაცი იყო და მთელი ცხოვრება ქართული სიტყვის ღალასა და ყუათს წონიდა და, აბელისა არ იყოს, არც ვალერიანისთვის შეუჩივლია ოდესმე მართალ სიტყვას, ნუ მამრუდებ, მკითხველის მტკივან გულზე მტლედ დასადებ მადლს ნუ მაკლებო.

ჩემი ფიქრით, სწორედ ეს მართალკაცობა ესაძირკვლა ერთი შეხედვით ამ ორი თითქოსდა ჩვეულებრივი ქართველი კაცის უშელავათოდ არაჩვეულებრივ რუსთაველურ ძმობა-მეგობრობას, რაც უთუოდ ათმაგად სამაგალითოა დღეს, ჩვენს ზნეობრივად გამოფუტუროებულ დროს, როცა კაცურ სიყვარულსა და მეგობრობას თაღლითობა და ანგარება ჩაენაცვლა, როცა ცრუმამულიშვილობამ და გამჩვენეობამ წალეკა ნადიდგორალი ქვეყანა, როცა ეშმაკის ცხენზეა შემჯდარი ამჟამინდელი ქართველობის უმრავლესობა და კეთილი საქმის კეთების ნაცვლად მთავარ საქმედ ბოროტი ენით საქვეყნოდ ტვირთმოუკიდებელი ზურგის ფხანა გაუხდია...

და ფერისცვალების წინაღამეს აბელს, წმინდა წიგნის პერსონაჟის სეხნია-სახელმოდგამს, ერთსულმა და ერთხორცმა მეგობარმა მოაკითხა... ჯერ გამიკვირდა, მაგრამ გაღმა სოფლიდან მოსული მეგობრის ნახვის სიხარულმა ეგრევე გამიქარწყლა გაკვირვებაო, მეუბნება აბელი, რომელსაც არც შობა, არც აღდგომა არ გაუცდენია შიომღვიმის სიახლოვეს, მცხეთის სასაფლაოზე რომ არ ასულიყო, ვალერიანის საფლავზე ყვავილი არ მიეტანა, სანთელი არ დაენთო და ჭიქა არ წაექცია...

... კარგა ხანს ვისაუბრეთ, განაგრძობს, აბელი, არ მეგონა, თუ ახლაც ქვეყნის მწარე ბედზე ჩამომიგდებდა სიტყვას. როგორც ჩანს, ადამიანს იმ უმზეო სოფელშიც იგივე სადარდებელი აწუხებს, რაც აქ, ამ უბარაქო წუთისოფელ-სამზეოში, გულს უკლავდა. ისიც აშკარაა, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც ვალერიანია, იმ მეორე სოფლიდანაც ეგუშაგებიან თავიანთ ავად ხელყოფილ მიწა-წყალს.

ფერისცვალება გათენდა თუ არა, აბელის ზარმა ააწკრიალა ჩემი ტელეფონი.

— მეცი პატივი და დამემგზავრე, ვალიკო გველოდება, — მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა აბელის ამ წინადადებამ, მაგრამ უცებ გონს მოვეგე, მივხვდი, რომ როგორც მრავალი წლის მანძილზე, ის ახლაც ჩვეულებრივ ცოცხალ ვალერიან მამუკელაშვილთან მიდიოდა მცხეთაში, სადაც ფერისცვალების წინაღამეს დაწყებული საუბარი უნდა განეგრძოთ.

ჩვენთან ერთად იყვნენ აბელის ვაჟი, უმცროსი აბელი, მამასავით სამართლიანობის დაცვის კვალზე შემდგარი, თვითონ ჩვენი მუდმივი მცხეთელი მასპინძლის ვალერიანის უმცროსი ვაჟი თემური, აბელისა და ვალერიანის ძველი მეგობარი, კალამყოჩაღი ჟურნალისტი სპარტაკ ქობულია და მე, ვინც საჭიროდ ვცანით, არცთუ ცოტა გულისგარეთ მოფიქრალი



ვალერიან და თემურ მამუკელაშვილები.

ადამიანის გულისშიგნით დასაფიქრებლად, ამჟამინდელ საოცრად გაცივსისხლიანებულ მსოფლიოში იქნებ მარტო საქართველოშიღა მცირედ, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ შემორჩენილი ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობებისა და უანგარო ფიცვერცხლნაჭამობის ეს ერთგვარად საგაზეთო გახმიანება.

რასაკვირველია, ალბათ, მომეჩვენა, ვინ იცის, იქნებ სულაც არ მომჩვენებია, რომ ვალერიანი შიომღვიმის სიახლოვეს, მცხეთის სასაფლაოზე, წამიერად ჩვენ გვერდით აღმოჩნდა და ესოდენ გაუნელებელი მეგობრობისთვის მადლიერების ნიშნად, ჩვეულებისამებრ, ძმურად გადაეხვია უფროს აბელს, გეგიას, კაცობითა და ადამიანობით ფრიად გამორჩეულ გულმდიდარ ქართველ მამულიშვილს, რომელმაც გაისად თავის ვალერიან მამუკელაშვილთან ერთად თავიანთი დაბადების დღისთვის ასოთხმოცკაციანი სუფრა უნდა გაშალოს...

**ერთი სიტყვით, ამ პატარა წერილის ბოლოს თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ წლეულს, ფერისცვალების მადლმოსილ დღეს, შიომღვიმის სიახლოვეს, მცხეთის სასაფლაოზე კიდევ ერთხელ ვიხილე ალალი, კაცური, მეგობრობით დამარცხებული სიკვდილი.**

**გურამ გოგიაშვილი**

პოზიცია

# „ფრთხილად, ოკუპაციიდან ანექსიამდე ერთი ნაბიჯია“!

(მეხუთე გვერდიდან)

3) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (დეოკუპაცია და რუსეთის მიერ, ჩვენი 2 რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარების“ აქტების გაწვევა, „უკან წაღება“!), შეუძლებელია მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით და, რომ რუსეთთან დიალოგის მისი განეიტრალების (შეთანხმება) მიზნით ალტერნატივა არა აქვს. ანუ, დასავლეთი (ნატო!) ღიად გვეუბნება, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ უნდა „გაფართოვდეს“, რადგანაც ამ ორი დიპლომატის უფლებამოსილება შეზღუდულია და მხოლოდ სახელმწიფოების პირველი პირების უმაღლესი დონის ფორმატში იქნება შესაძლებელი საბოოლო გადაწყვეტილებების მიღება!

4) ნატო, სამხედრო ძალით არასდროს და ვერასდროს დაეხმარება საქართველოს — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, რუსეთის წინააღმდეგ. მეტიც, პოლიტიკური რიტორიკის დონეზეც კი, გამორიცხავს რუსეთთან დაპირისპირებას ჩვენი ოკუპირებული რეგიონების გამო! — მოკლედ, მიმაჩნია, რომ უსუფაშვილის ეს „აღიარებითი“ განცხადება, პირველი ნაბიჯია იქითკენ, რომ უახლოეს მომავალში, აბაშიძე-კარასინის ფორმატში დაიწყება საუბარი და შეთანხმდება თარიღი, თუ როდის გაიმართება უმაღლესი დონის შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის პირველ პირებს შორის!..

მიმდინარე აგვისტო ძალზედ დატვირთული აღმოჩნდა პოლიტიკური განცხადებების მხრივ, რომლებიც საქართველოს ნატოსთან ურთიერთობების პერსპექტივას შეეხებოდა. ქვეყნის შიგნით თუ დასავლეთში, სხვადასხვა მოსაზრებები გაისმოდა, როგორც ოფიციალური პირების მხრიდან (ხიდაშელი, ზაქარეიშვილი და სხვები) ისე ექსპერტ-ანალიტიკოსების მიერ, ყველანი „ოპტიმისტური“ პათოსით გამოირჩეოდნენ. რამდენიმე დღეში კი, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვევა საქართველოს, ხოლო სექტემბერში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა იგეგმება თბილისის სიახლოვეს. აგვისტოშივე, ამ თემასთან დაკავშირებით არაერთი საპასუხო „ხედვა დაფიქსირდა“ რუსეთის ოფიციალურ და საექსპერტო წრეებში, სადაც, საქართველოსთვის „ნაკლებად ოპტიმისტური ნოტები გაჟღერდა“, მეტიც, — საგანგაშო! შევეცდები, მოკლედ ვთქვა...

მე არ ვიცი, საიდან და რის საფუძველზე აქვთ ასეთი **„არარეალურად ოპტიმისტური“ განწყობა ქართველ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გაისად საქართველოსთვის ვარშავის ნატოს სამიტზე მაპ-ის (Membership Action Plan — გაწევრების სამოქმედო გეგმა.) მიცემა სავსებით შესაძლებელია, მეტიც, შეიძლება მაპ-ის გარეშეც მიგვიღონ ნატოში, როგორც ამას „მოითხოვს“ ერთი ამერიკელი პოლიტანალიტიკოსი“?! მაგრამ, თუ დავუბრუნდებით რეალობას, საღად გავაანალიზებთ ჩვენს გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ სურათს და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის „მრავალნაირ“ სცენარებს და მიზნებს საქართველოსთან მიმართებაში, მაშინ, თუ მართლაც არ ხართ საქართველოს მტერი, ანდა პოლიტიკურად ბრიყვი და ბეცი, აუცილებლად დაინახავთ და მიხვდებით, რომ მოვლენების ამდაგვარად განვითარების შემთხვევაში (საქართველოსთვის მაპის მიცემა და ნატოში გაწევრიანება), რუსეთი განახორციელებს საქართველოს ორი რეგიონის ანექსიას, რომლებიც ამჟამად აქვს “დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული“.**

**დიახ, ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რუსეთის მოქმედების სტრატეგია და მისი ტაქტიკური მონახაზი „დაეფუძნება“ საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ანუ, რუსეთი „სხვადასხვა პასუხს გასცემს“ საქართველოს მოქმედებას ნატოში ინტეგრაციის გზაზე. მოკლედ, თუ საქართველოს მაპ-ს მისცემენ, მაშინ, რუსეთი ე.წ. სამხეთ ოსეთში „ჩაატარებინებს რეფერენდუმს“, რომელშიც იქნება ერთი საკითხი — „სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიას გაერთიანება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში“, — რასაც 99 % მცხოვრებლების დადებითად უპასუხებს.**

**აი, ასე მოხდება ცხინვალის რეგიონის ანექსია და სადაც ახლა საოკუპაციო ხაზთან „სასაზღვრო ბანერებს“ დგამენ რუს-ოსები, რომლებსაც „რესპუბლიკა იუჟნაია ოსეტია“ აწერია, მას უკვე დააწერენ — გოსუდარსტვენაია გრანიცა როსსისკოი ფედერაციი“!.. ხოლო, საქართველოს ნატოში მიღებას, რუსეთის მიერ უმალ მოჰყვება აფხაზეთის ანექსია!.. ასე რომ, ჩვენი რეგიონების რუსული ოკუპაცია ანექსიად გადაიქცევა და საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების დაბრუნება, არათუ ახლანდელი თაობებისთვის, არამედ ქართველების მომავალი თაობებისთვისაც შეუძლებელი გახდება!!!“**



**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი.

№159. ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 2015 წელი.




# თბილისელის დარდები

## ჯემალ ბეჟიტაშვილის „დრო და ფიქრების“ გამოძახილი

დღეს ხშირად გაიგონებთ, მაგარი ბიჭია, ნაღდი თბილისელია, თბილისში დაბადებული და გაზრდილიაო. მავანი შეიძლება ამეფოფროს, მაგრამ პირადად ჩემთვის თბილისელობა დაბადების ადგილის მიხედვით არ განისაზღვრება. ვგონებ, ყველა ჩვენგანი ილიას და ვაჟას უფრო ღირსეულ თბილისელებად მიიჩნევს, ვიდრე ქართველი გენისათვის უცხო, მაგრამ თბილისში დაბადებულ და გაზრდილ ავლაბრელ კინტოს. ზემორე შედარებაც მკრეხელობად აღიქმება. საერთოდ, ჩემი აზრით, ნაღდი თბილისელი ის არის, ვინც იცავს იმ წესებს, რომლებიც თბილისის საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა შეიმუშავა. აქვე შეიძლება ზოგიერთი ამ წესთაგანი გავიხსენოთ: ა) უმცროს-უფროსობის ურთიერთობა: უმცროსი დიდ პატივს მიაგებდა უფროსს, ეს უკანასკნელი უსამართლოდ არ დატუქსავდა და დაჩაგრავდა უმცროსს; ბ) ვაჟკაცობა ოდენ ფიზიკური ძალით არ ფასდებოდა, ფიზიკური ძალა სულიერებით უნდა ყოფილიყო გამტკიცებული, რამაც ზოგადად ამგვარი ხასიათი და აზრი შეიძინა – არავის ვჩაგრავ, მაგრამ არც არავის დავეჩაგვრინები; გ) წაქცეულის ჩაწიხვლა დაუშვებელი იყო, პირუკუ, იგი უნდა წამოგეყენებინა ფეხზე და მშვიდობით გაგესტუმრებინა; დ) ვაჟს თუ ასული ახლდა, მისი დაცინვა და ფიზიკური შეურაცხყოფა დაუშვებელი იყო; ე) მეგობრობის უნარითა და ნიჭით უნდა ყოფილიყავი დაჯილდოებული, რომელიც იწყებოდა სკოლაში, მერმე უბნის საზღვრებს მოიცავდა, შემდეგ მთელ ქალაქს ედებოდა და ბოლოს, სრულიად საქართველოს გასწვდებოდა; ვ) ღირსეული თბილისელი, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩეოდა ზრდილობით, სიკეთით, სიმამაცით, მართლისმოყვარეობით, გულღიობით, უშურველობით, ხელგაშლილობით, ერთგულებით და მისით და მისით.

უნდა გითხრათ, რომ ჩვენი თაობა ზემორე ჩამოთვლილს და კიდევ სხვა ზნეობრივ წესებს იცავდა და შესრულება-შეუსრულებლობას მკაცრად აფასებდა კიდეც. ადამიანზე რომ იტყოდნენ ნაღდი კაციაო, თავისთავად უკვე ნიშნავდა ნაღდ თბილისელობას.

ჯემალ ბეჟიტაშვილს, აი, ამგვარ კაცად აღიქვამდა ღირსეულ თბილისელთა უმეტესობა. პირადად მე არ შემხვედრია კაცი, მასზე რომ აუგი ეთქვას. ახლა არ ვაპირებ მის რაინდულ თვისებებზე საუბარს, ამის შეფასებას სხვები უკეთ შეძლებენ. უბრალოდ მსურს, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ მის წიგნზე „დრო და ფიქრები“ (თბ., 2014), რომელმაც ის სავსებით სხვა კუთხით და განზომილებით დამანახვა. მოკლედ, ეს წიგნი შეიცავს ავტორის განსჯასა და დაკვირვებებს, რასაც იგი დროდადრო იწერდა უბის წიგნაკში და ფიქრადაც არ მოსვლია დღის სინათლეზე მათი გამოტანა. მაგრამ მისმა მეგობარმა, ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ გურამ ბენაშვილმა, ხელიდან გამოჰგლიჯა და მის დაუკითხავად გამოაქვეყნა, რითაც ერთობ საშური საქმე მოიმოქმედა.

საერთოდ, ფიქრი ადამიანობის ერთი უმთავრესი ნიშან-თვისებაა. ადამიანი ფიქრის გარეშე ვერ აზროვნებს, ე.ი. ადამიანობას კარგავს და ცხოველთა დონეზე ეშვება.

ჯემალ ბეჟიტაშვილის ფიქრი, უპირველესად, ზეშთასოფელს და ამა სოფელს, უფალსა და ადამიანს, ამ ცნებათა ურთიერთმიმართებებს დასტრიალებს და ამ მიმართებათა ფონზე ცდილობს, გაარკვიოს ადამიანის მორალური სახე და ცხოვრების ზნეობრივი წესი. წიგნის ავტორის ფიქრნი და განსჯანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში არის წარმოქმნილი და კალმით ქაღალდზე გადატანილი. ამიტომაც მათი მოქცევა ერთიან სტრუქტურულ ჩარჩოში ვერ ხერხდება და არც სიუჟეტის განვითარების სიმწყობრე გააჩნია. თუმცაღა შეიძლება წინასწარვე განვსაზღვროთ ის ძირეული მოტივები, რომლებიც ასაზრდოებს ჯემალ ბეჟიტაშვილის ფიქრთა მდინარებას. ამაში კი დაგვეხმარება ნაშრომის ბოლოს დართული ზეპირსიტყვიერების და იმ პოეტთა ციტირებანი, მას რომ თავისი სულის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. თუ ამონარიდების მიხედვით ვიმსჯელებთ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჯემალ ბეჟიტაშვილს პოეტური გემოვნება არ ღალატობს. მარტო მოხმობილ პოეტთა ჩამონათვალიც ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ. აბა, გავიხსენოთ: შოთა რუსთველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი... რამდენიმე სახელიც და სრულად წარმოდგება ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი.

მაგრამ უფრორე საგულისხმოა, რომ ამ ამონარიდებით ის ცდილობს, წარმოაჩინოს: ჯერ ერთი, ქართული პოეზიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები; მეორეც, ამ მოხმობილ პოეტურ პწკარებში, მისივე სიტყვებით, იხატება მისი სულის ნეტარი „ხატებანი ოაზისებისა“ და მესამეც, მათში ირეკლება, რაც ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა, კარგი ყმის სულიერი თუ ფიზიკური თვისებანი, ქართველი რაინდის მოღვაწეობის პრინციპები და მიზანსწრაფვანი, რაც, მისი ფიქრით, ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს უნდა ამშვენებდეს.

უპირველესად უნდა აღვნიშნო ამ წიგნში უხვად მიმოფანტული ნაკვესები, სხარტულად გამოთქმული ფიქრები, რომლებიც ავტორის გონებამახვილობასა და ლაპიდარულ სტილზე მეტყველებენ. აი, ზოგიერთი მათგანი: „დიდება იმ ძალას, ჩვენში სატანას რომ განდევნის“(7); „განათლებული და ნიჭიერი ბევრია, ურყევი სულის ხასიათი კი თითქმის უიშვიათესი“...(7); „ნიჭიერებას თუ პატიოსნებაც არ ახლავს, ბოროტებაა“...(8); „თუ ბრძენი და მართალი ადამიანი შეგაქებს, მოუსმინე და დაფიქრდი“ (13); „წესით, ადამიანს სიკვდილზე მეტად სირცხვილის უნდა ეშინოდეს“ (22); „ჯიშით ლაჩარი და ფუყე არსება ცხოვრებას რომ მოირგებს და დავაჟკაცდება – ამაზრზენი საცქერია“ (24); „გაცემით სული იკვებება, მიღებით – სხეული“ (37); „ბოროტს თავისი სიმდაბლეები არ ეთმობა, რადგან მათი წყალობით ცხოვრებაში „რაღაცას“ მიაღწია“ (39); „ყოველ წუთს მზად ვარ, მოვკვდე რჩეულთათვის, სანამ პირში სული მიდგას“ (44); „ყველაზე მძაფრად ვინც შეიგრძნო ამ ცხოვრების ამაოება, ის იწოდება ყველაზე დიდ ფილოსოფოსად“ (45); „სამმა რამემ უნდა დაამწუხროს და ცრემლი მოჰგვაროს ადამიანს: უფლის ჯვარცმამ, სამშობლოს სიბეჩავემ და უახლოესის ღალატმა“...(67); „ვინ არის ღირსეული, თუ არა სიმართლითა და უმწიკვლო ზნეობით მავალი ადამიანი“...(84); „ზნეობა ადამიანის უპირველესი სახეცაა და საუნჯეც“ (85) და სხვ.

კიდევ მრავალი ნაკვესის მოხმობა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია, რომ ნათლად წარმოვადგინოთ წიგნის ავტორის აზროვნების სტილი და ზნეობრივი მრწამსი.

თუ ჩვენ ჯემალ ბეჟიტაშვილის ფიქრთა მდინარებას დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ, მისი მოაზრებით, ადამიანს, უპირველესად, მართებს უფლის სიყვარული, რამეთუ ამ სიყვარულით შთაგონებული „ამაღლდება ყველასა და ყველაფერზე“ და მხოლოდ ამგვარ ადამიანს „აქვს ერთგულებისა და გრძნობათა გამოხატვის საკუთარი „ხელწერის უფლება“ (5). მეტიც, რაოდენ დიდი ტალანტიც გქონდეს, „შენი ნიჭი ღმერთსა და ჭეშმარიტებას უნდა შესწირო, სხვა შემთხვევაში, ერთი „ნიჭიერი“ არარაობა ხარ, რომელიც იმიტომ მოევლინე კაცობრიობას, რომ რაც შეიძლება მეტი ბოროტება ჩაიდინო“. (19).

ჯემალ ბეჟიტაშვილი ოპტიმისტი კაცია და არცროდის კარგავს იმედს. ამიტომაც ფიქრობს, რომ ადამიანის ხსნისა და ამაღლების გზა ზნეობრიობაზე გადის. შესაბამისად, მისი იმედის მომგვრელი მიზანი უნაკლო და სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებაა, რაც მიიღწევა პირველსავე საფეხურზე კეთილისა და ბოროტის, ზნეობრივ და უზნეო ადამიანთა გამიჯვნით და მათთვის სამართლიანი განაჩენის გამოტანით: „არიან ბოროტნი, რომელთაც თავისი ქვეყნისა და ადამიანთა ცოდვა ადევთ... – წერს იგი – მათგან მომდინარეობს ერის გადაგვარება. ასეთს არც ერსა და არც კაცს არ ასცდება ღვთის რისხვა“ (8). დღევანდელი სავალალო ყოფა, უზნეობის გაბატონება ბოლოს და ბოლოს, მას ათქმევინებს სიმართლეს: „უზნეობა სჭირთ ადამიანთა უმრავლესობას. ჭკვიან და ზნეობრივ ადამიანს ცხოვრებაში თუ სამსახურში იოლად სწირავენ. უბადრუკები იმას ვერ გრძნობენ, რომ სწორედ ასეთი ადამიანის მხრებზე ძევს მათი და მათი შვილების მომავალი“ (14). რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ უზნეო ადამიანებს არ ანაღვლებთ არც ხალხისა და არც თავიანთი შვილების მომავალი, მხოლოდ საკუთარი მუცლის ამოყორვაზე ზრუნავენ. ყოველივე ეს კი ფიქრთამპყრობელს აფიქრებინებს, რომ „ჩვენს ქვეყანას მარტო დემოკრატიული კანონები და კონსტიტუცია ვერ უშველის, თუ სათავეში სულით ძლიერი, პრინციპული, განათლებული და პატიოსანი ადამიანი არ უდგას, რომელიც მაგალითი იქნება ხალხისთვის ზნეობითა და სიმართლით“ (24). სამწუხაროდ, ბატონო ჯემალ, ამაზე არ ფიქრობს არც ერი და არც ბერი! საბედნიეროდ, ამაზე გამუდმებით ფიქრობენ ერიშვილები, რომელთაც ყურს არავინ უგდებს. მაგრამ მორალისტს კვლავ ზნეობის იმედი აქვს, ამ გზას ადგას და მას არ ღალატობს. მისი აღქმით, ადამიანი უნდა აღუდგეს ბოროტებას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც: „მარტო სიტყვა, რომელიც სიმართლეს ქადაგებს, – წერს იგი, – არ არის სანდო, მხოლოდ ცხოვრების სიმართლე და საქმეა ღვთიური და სანდო“ (30).

ჯემალ ბეჟიტაშვილი ქართველი კაცის ხასიათზეც საუბრობს. მისი აზრით, „ქართველის ბუნებაში ძლიერია მოვალეობის გრძნობა. თუმცა, ამასთან ერთად, იგი ამბიციურია და ქედმაღალი“ (12). მისი აზრით, უკანასკნელი თვისება ერთობ აკნინებს ადამიანის კაცობას. ამიტომაც იგი ცდილობს, თავისი საკუთარი ხედვით გამოძერწოს ჭეშმარიტი ქართველის, ნამდვილი კაცის ანუ კარგი ყმის ხატი. მისი ფიქრით, „უდიდესი სიყვარულიც არ ღირს იმად, რომ კაცობას უღალატო... ამიტომ რაც არ გეკადრება, იმას უნდა გაექცე და ეს იქნება ცხოვრებაში შენი ვაჟკაცური მონაპოვარი“...(15) და თუ შენ ამის პრეტენზია გაქვს, „დაწინაურებული ვიგინდარა“ არ უნდა შეაქო, თორემ უარეს ვიგინდარად იქცევა“ (34). თუმცაღა საჭიროა ენდობოდე ადამიანს და ეს ნდობა იმდენად გახარებდეს, რომ მოტყუებულიც რომ დარჩე, ეს ძვირფასი გრძნობა არ უნდა დაკარგო; (37) იმავდროულად, კაცი არ უნდა იბრძოდეს მიწიერი კეთილდღეობისათვის; (37) სახელისა და თავის გამოჩენისათვის; (41) უნდა ეცადო, წამხდარისა და დაცემულის შენი სისპეტაკით გასპეტაკება. (41) უნდა სძლიო ამპარტავნობას და ანგარებას, არ უნდა გახდე გარემოებათა გამრყვნელი ძალის მსხვერპლი“. (66) ჯემალ ბეჟიტაშვილს ისიც კარგად ესმის, რომ „უდაბური ჯუნგლებიდან უვნებელი გამოსვლა უფრო იოლია, ვიდრე ცხოვრების ჯურღმულებიდან „წმინდად“ „თავის დაღწევა“.(600 მაგრამ ბრძენმა და მამაცმა კეთილგონიერმა ადამიანმა“ ეს უნდა შეძლოს (64)...

საერთოდ, ჯემალ ბეჟიტაშვილი ცხოვრობს მართლის თქმის პრინციპით. ის ვერ უქებს „საძაგელთა, უფერულთა, პირსაფერად“. ამიტომაც დაუნდობლად კილავს იმ ფარისეველ ე.წ. ექსპერტებს თუ პოლიტოლოგებს, რომლებიც უმეცრებისა თუ, უფრო სწორედ, ვერცხლმოყვარეობის გამო, სიცრუეს ქადაგებენ: „შემზარავია მოსასმენად და საცქერლად ადამიანი (ჟურნალისტი, პოლიტოლოგი თუ ექსპერტი), რომელიც ყალბი და თვალთმაქცი, სიმართლესა და დემოკრატიაზე უტიფრად საუბრობს“. (66) სხვაგან კიდევ უფრო მკაცრად აფასებს ამ ფარისეველთა ხროვას (მთავრობას, ჟურნალისტებს, ათასი ჯურის არამზადებს), რომლებიც იმ დროს, როცა გალატაკებული ხალხი უფსკრულისკენ მიექანება „გაზეთებით თუ ტელეარხებით ტირანიას იცავენ და ისედაც დაბნეულ მოსახლეობას გონებას უბნევენ“. ჯემალის აზრით, ეს ნაძირლები გარეშე მტრებზე უარესნი არიან და ერმა და სამართალმა ისინი უნდა დასაჯოს, როგორც ქვეყნის მტრები...(21) პირადად მე სავსებით ვეთანხმები ამ განაჩენს, რამეთუ ჩვენი ერის ვინაობას და სახელმწიფოებრიობას სწორედ შინაგანი მღრღნელები ანადგურებენ.

ერთობ საგულისხმოა, რომ წიგნის ავტორს აფიქრებს ლაგამაწყვეტილი გლობალიზაციის პერიოდში „მცირე“ ერების ტრაგიკული ბედი. დადგა ჟამი, „როცა სიბნელით და იდუმალებით მოცული რაღაც ბოროტი ძალა „ჭკვიანი“ უბადრუკების მეშვეობით აგრძელებენ მსოფლიოს მართვას, როცა ღვთიური რწმენა უგულებელყოფილია, მიზანი კი მსოფლიოს პატარა ერების განადგურებაა“...(42) ის ე.წ. პოლიტიკოსნი თუ მოაზროვნენი, ვინც ყოველივე ამას ვერ აცნობიერებს, ან გონებაჩლუნგნი არიან, ანდა მწვანე დოლარებს სულმიყიდულნი...

ბუნებრივია, რომ ჯემალ ბეჟიტაშვილს ჩვენი ერის ბედი უფრორე აინტერესებს, ცდილობს, გაერკვეს თავად და ჩვენ გაგვარკვიოს, თუ რა ელის საქართველოს. მისი ფიქრით, მცირე ერებისათვის „სრული და მაქსიმალური დემოკრატია სახიფათო“ და სავალალო შედეგებითაც კი მთავრდება...“ მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ჩვენ უსაზღვრო სტუმართმოყვარეობას და დევნილ უცხოტომელთა მიღება-დაპურებას და იმასაც, რომ ჩვენს მეზობლად მცხოვრები დიდი და მცირე ერები არ გვასვენებენ და ამასთანავე, „ნიჭიერი ქართველებიც არ ისვენებენ, ამპარტავნობა-ანგარებაშეპყრობილნი გონებას ურეცხავენ მოსახლეობას და ქმნიან ქაოსს.“ მახვილი გონება ამჩნევს, რომ ხიფათი თანდათან გვიახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, „ამ მდგომარეობით სარგებლობენ შინა და გარე მტრები და ჩვენი ტანჯული სამშობლო გაჩანაგების გზაზე დგება.“ (71) რა არის ასეთ ვითარებაში ჩვენი გამოსავალი. ჯემალის ფიქრით, უპირველესად, ჩვენ უნდა ვევედროთ უფალს, რათა „მან მოგვივლინოს გენიოსი, ძლიერი, სულით და ხორცით სპეტაკი პიროვნება მმართველად და თვითონ მართალმა, თავისი ძლიერი და უკომპრომისო ხასიათით განასპეტაკოს ქვეყანა“...(71)

დასასრულს, „დრო და ფიქრები“, ზნეობრივ ეპისტოლედ რომ მიმაჩნია, მსურს, დავასრულო იმ ლოცვით, რითაც სრულდება ჯემალ ბეჟიტაშვილის ფიქრთა ნაკადი: „უფალო, ცხონება მათ, ვინც სიყვარულში განვლო წუთისოფელი... სასუფეველი მათ, ვინც ცოცხალნი არიან და შენსკენ მოილტვიან სასოებით... შენს კარიბჭეს მოადგებიან და ზღურბლს შემოაბიჯებენ... ჩვენ კი, ცოდვილნი, შესაძლოა, ვერ ვამჩნევთ მათ...

უფალო, მომეც ძალა მათი დანახვისა, ვინც გინდა იყოს იგი, ოღონდ ვიცოდე, რომ ის შენი წიაღისკენ მოილტვის... რათა მივეახლო მას, ვემთხვიო და დავბანო ფეხი, დაწყლულებულიც რომ ჰქონდეს მთელი სხეული... მოვუვლი და მოვარჩენ მას, გულში ჩავიკრავ, როგორც ჩემს დედას, მამას, ძმას, დას, შვილსა და შვილიშვილს...



ეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლის ლოცვა-ვედრება შეისმინოს უფალმა და მთელმა ქართველმა ერმა, ამ მრწამსით იაროს ჩვენმა ხალხმა და სახელმწიფომ! ამინ!..

**ელიზბარ ჯაველიძე.**

2015 წ. 5.VIII

**წერილი იბეჭდება შემოკლებით.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# პანკისის საზღვრებს მიღმა: ისლამური რადიკალიზაცია საქართველოში

**თავის მოხსენებაში სახელწოდებით „ფოლკლორი და ტერორი პანკისის ხეობაში“ პოლ მესინგი, რომელიც ლექციებს კითხულობს ტრენტის უნივერსიტეტში კანადაში, იხსენებს ხეობის მცხოვრებთა შორის მოარულ ხუმრობას: „საქართველო – ესაა, ასე ვთქვათ ის, რომელიც პანკისიდან შორს არაა“.**

პანკისი ესაა – ლამაზი დაბლობი, რომლის სიგრძეც 10 კილომეტრია და მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთში. აქ 8 ათასი ქისტი ცხოვრობს, რომლებიც ითვლებიან ისლამის ეროვნულ უმცირესობად და არიან ჩეჩნების მონათესავეები ჩრდილოეთი კავკასიიდან. 1990-იანი და 2000-იანი წლების ჩეჩნეთის ომის დროს ხეობამ შეიძინა ბოევიკებთან დაახლოებულების ცუდი დიდება, რამაც სახელი დაიმკვიდრა ლტოლვილების შემოსვლის შედეგად ჩეჩნეთიდან. ახლა უშიშროების მოსაზრება კვლავ გამოვიდა წინა პლანზე იმ მტკიცებათა ფონზე, რომ ხეობა არის ბოევიკების დაჯგუფებისათვის პოტენციური ახალწვეულები, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოსთვისაც“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს შეფასებით, ერაყსა და სირიაში ასამდე საქართველოს მოქალაქე იბრძვის. სირიაში ყველაზე ცნობილ მებრძოლად ითვლება პანკისიდან წამოსული თარხან ბათირაშვილი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც აბუ ომარ ალ-შიშანი, – იგი გახდა „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის საბრძოლო მეთაური.

პანკისში უშიშროების უსაფრთხოებასთან ბრძოლის ოფიციალური პოლიტიკა ძირითადად გულისხმობდა დაპირებას – რომ ხელი შეუწყონ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. ხელისუფლებამ ასევე მიიღო ზომები ქვეყნიდან გასვლის წინააღმდეგ იმ ბოევიკებისა, რომლებიც მიისწრაფვიან საზღვრისაკენ. მაგრამ ეს ზომები საკმარისი არაა.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უბიძგებს თბილისს, გააძლიეროს სასაზღვრო კონტროლი, არის გაეროს უშიშროების საბჭოს №2178 რეზოლუცია, რომელიც მიიღეს შარშან სექტემბერში, რათა გაურთულონ ჯიხადისტებს და სხვა პირებს ამოცანა – შეიჭრან კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის. საქართველოში არ არის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ხსენებული რეზოლუციის წარმატებული შესრულებისათვის, კერძოდ კი პროგრამა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ პროგრამებს იმუშავებენ რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად ექსტრემისტულ პროპაგანდასთან ბრძოლაში ადგილობრივი თემების ჩართვის გზით.

ივნისში ეუთომ აამოქმედა ახალი პროექტი ზემოაღნიშნული რეზოლუციის შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით. მაგრამ იმავე თვეში ვენაში გამართულ ეუთოს კონფერენციაზე უცხოური ტერორისტული ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არ ესწრებოდნენ საქართველოს წარმომადგენლები. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩინოვნიკები ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის – სომხეთისა და აზერბაიჯანის – წარმომადგენლები.

ახალი გამოკვლევა რადიკალიზაციის თემაზე საქართველოში, რომელიც შეასრულა ბენიტო კლიფორდმა, უეიკ ფორსეტის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდთან თანამშრომლობით, ადასტურებს მოსაზრებას პროფილაქტიკური ზომების სარგებლობის შესახებ, თანაც არა მხოლოდ პანკისში, არამედ საქართველოს სხვა მუსლიმთა შორისაც სხვა რეგიონებში, მათ შორის, აჭარაში და ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

ამგვარი პროვენციული ზომები შეიძლება კონცენტრირებული ყოფილიყო კულტურული იდენტურობის საკითხების განხილვის დროსაც. საქართველოში მუსლიმი ახალგაზრდობისათვის ძნელია, გაიგოს, თუ როგორ ჩაერთოს საზოგადოებაში, მიაჩნია კლიფორდს.

სიტუაცია ქართველ მუსლიმებთან დაკავშირებით აჭარასა და აზერბაიჯანის სათემოში, მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეულ როლს ასრულებენ სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, წინასწარშექმნილი ცუდი აზრი მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან, რომლებიც შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას.

„თუ ამ პროცესს მივუშვებთ, დაძაბულობამ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, განსაკუთრებით აჭარაში, შეიძლება გააძლიეროს შეგრძნება ქართველ მუსლიმებს შორის, რომ მათთვის შეუძლებელია, დაიცვან თავიანთი ინსტიტუტები და ცხოვრების წესები საზოგადოებაში, სადაც დომინირებენ ქრისტიანები, – შენიშნა კლიფორდმა. – ზოგიერთვისთვის სიტუაციის ამგვარად შინაარსი მეტად სერიოზული ფაქტორია, რომელიც უბიძგებს მათ, მიიღონ მონაწილეობა კონფლიქტებში სირიასა და ერაყში“.

კლიფორდი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება და ანალიტიკოსები ზედმეტად აფასებენ ეკონომიკურ ფაქტორებს საქართველოს მუსლიმების რადიკალიზაციაში.

კლიფორდს მაგალითად მოჰყავს მუსლი კუშტანაშვილისა და რამზან ბალაკაშვილის შემთხვევები – ორი მოზარდისა პაკისტანიდან, რომლებიც აპრილში თურქეთის ტერიტორიის გავლით გაემგზავრნენ სირიაში. მკლევარი ამტკიცებს, რომ ამ ახალგაზრდების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ – გახდნენ ბოევიკების იდეოლოგების – შეასრულა უფრო დიდი როლი, ვიდრე ეკონომიკურმა მოსაზრებებმა.

პროგრამები ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ შეიძლება ყოფილიყო სასარგებლო საქართველოში იდეოლოგიის რადიკალიზაციის პრობლემის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით თუ ასეთ პროექტებს სათავეში ჩაუდგებოდნენ საქართველოს მუსლიმ ტომებში ნდობით აღჭურვილი წევრები, აგრეთვე ტერორიზმის მსხვერპლი პირები და გაწბილებული ყოფილი ექსტრემისტები. სამწუხაროდ, ქართველი ჩინოვნიკები არ ჩქარობენ, მოახდინონ ამგვარი პროგრამების ინიცირება, როგორც ბოევიკების პროპაგანდის საპირისპირო ზომები.

**ონიკ ჯეიმს კრიკორიანი,**

**ჟურნალისტი, კონსულტანტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში, ინსტრუქტორი დიდი ბრიტანეთიდან**

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

# დედამიწის ზურგზე

## კოლუმბიამ დაგმო თავისი მოქალაქეების დეპორტაცია ვენესუელიდან

**საზღვარი ორ ქვეყანას შორის გასულ კვირას დაიხურა, მას შემდეგ რაც კონტრაბანდისტების შეტევის შედეგად დაზარალდა სამი ჯარისკაცი და ერთი სამოქალაქო პირი. მის შემდეგ ვენესუელიდან გაიგზავნა კოლუმბიის დაახლოებით ათასი მოქალაქე – ხელისუფლების სიტყვებით, ეს კეთდება კონტრაბანდასთან და ბანდიტიზმთან ბრძოლის ფარგლებში.**

## საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მიიტანეს ალკოჰოლი, რათა ერთმანეთს შეადარონ სპირტიანი სასმელების დედამიწისეული და კოსმოსური ქცევა

**იაპონურმა კომპანიამ, რომელმაც სახელი გაითქვა ვისკისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოებით, ტვირთში, რომელიც მიიტანეს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე სამეცნიერო მიზნებისათვის, შეიტანა „ალკოჰოლური სასმელის ხუთი სახეობა. ხომალდის ბორტით იაპონიამ ასევე გაგზავნა სადგურზე 12 თაგვი. მთელი ეს ტვირთი საჭიროა კოსმოსში დაბერების პროცესის შესწავლისათვის.**

## გერმანიაში თავშესაფრის მაძიებლების დროებითი თავშესაფარი დაიწვა

**„ბიბისის“ ცნობით, დაშავებულები არ არიან. პოლიცია ვარაუდობს, რომ ხანძარი განგებ გააჩინეს. ულტრამემარჯვენე დემონსტრანტები თავშესაფრის მაძიებლების ქვეყანაში ყოფნას აპროტესტებენ.**

**გასულ კვირას ქალაქ დრეზდენთან ახლოს თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ადგილას შეტაკებები მოხდა, რა დროსაც ათობით პოლიციელი დაშავდა.**

**მომხდარი მკაცრად დაგმო გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. გერმანია ევროკავშირში მიგრანტების რიცხვის მიხედვით წელს პირველ ადგილზეა.**

**ამ ქვეყანაში თავშესაფრის პოვნის მიზნით ძირითადად სირიიდან და ბალკანეთის ქვეყნებიდან ჩადიან.**



## აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი შეიძლება ჩაერთოს სახელმწიფოს მეთაურის პოსტისათვის ბრძოლაში

**ამჟამად მთავარ პრეტენდენტად დემოკრატებისაგან ჰილარი კლინტონი ითვლება. თუ ბაიდენი მართლაც წამოაყენებს თავის კანდიდატურას, იგი მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს, მიაჩნიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ადრე პრესაში გაჩნდა ხმები, რომ ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება გამოვიდეს ასეთი განცხადებით სექტემბრის ბოლომდე.**

## ესტონეთმა გამოაცხადა თავისი განზრახვა - გამოეყოს რუსეთს საზღვარზე ორმეტრიანი ღობით

**ესტონეთი ბალტიისპირეთში გახდა მეორე ქვეყანა, რომელმაც განაცხადა თავისი გეგმა – ააშენოს კედლები რუსეთის ფედერაციის საზღვარზე. აგვისტოს დასაწყისში ანალოგიური განზრახვის შესახებ, პრესის მონაცემებით, განაცხადა ლატვიის ხელისუფლებამ. რუსეთის ფედერაციასთან მოსაზღვრე ქვეყნებიდან საზღვრის გასწვრივ ღობეებს აშენებს ასევე უკრაინა. მაისში კიევმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა მისი აშენებისთვის ორასი მილიონი დოლარის ოდენობით.**






## საფოსტო მარკები: „სიყვარულის ისტორია“

**შეყვარებულთა ანაბეჭდიანი საფოსტო მარკების სერია, რომელმაც შემდგომ „თითების ანაბეჭდის“ სახელწოდება მიიღო, გამოუშვეს 2006 წელს კორეის რესპუბლიკაში.**

ვარდების კოკრების ფონზე გულის სიმბოლურ გამოსახულებაში ქალ-ვაჟის თითების ანაბეჭდები იყო მოთავსებული. ასეთ გამოსახულებას აზიაში უძველესი წარმოშობა აქვს: ოდესღაც, როცა კაცი გარკვეულ პირობას დებდა, დასტურად ვალდებულებაზე საკუთარი თითის ანაბეჭდი უნდა დაეტოვებინა.

უწინ, როცა საბუთზე ფაქსიმილეს პროცედურა ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო, მას ტუშში ამოვლებული თითის ანაბეჭდით ადასტურებდნენ, რაც ყველასათვის, მით უმეტეს წერა-კითხვის უცოდინარი ხალხისთვის, სავსებით მისაღები იყო. გულში ჩასმული ვაჟიშვილისა და ქალიშვილის თითების ანაბეჭდები კი საქორწინო ფიცს ჭეშმარიტი სიყვარულის სითბოს ანიჭებენ.

* * *

**1944 წელს ისრაელში ყველა შეყვარებულის დღისადმი მიძღვნილი ოთხმარკიანი სერია გამოუშვეს, რომლებზეც სიყვარულის სიმბოლო მშვილდისრიანი ანცი ანგელოზი კუპიდონი, დრუნჩში სამყურიანი გოჭი, სპილო-ფოსტალიონი და ვარდიანი ძაღლი იყო გამოსახული.**

ამ საფოსტო მარკების სერია ერთ-ერთ ყველაზე გულის ამაჩუყებლად და რომანტიკულადაა აღიარებული: კუპიდონი ისრით არავის გულს არ გმირავს, მაგრამ თავადვე მოაქვს სიყვარულით ანთებული წითელი გული; სამყურიანი გოჭი სიყვარულსა და სინაზეს აფრქვევს; ტლანქი სპილოს სიყვარული ფრთებით მიაქვს წერილი ადრესატამდე, ძაღლი კი ვარდს – დიდი, სპეტაკი სიყვარულის სიმბოლოს – მიარბენინებს.

ყოველივე ეს კი იმიტომაა შესაძლებელი, რომ „მე შენ მიყვარხარ!...“

## „ანტისახანძრო“ სიგარეტი

**ჩაუქრობელი სიგარეტების მიზეზით წარმოშობილი ხანძრების რაოდენობის ყოველწლიურმა განუხრელმა ზრდამ, ნიუ-იორკის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხელმძღვანელობას გადამჭრელი ზომების გატარება აიძულა.**

უკვე რამდენიმე წელია, აქტიურ ანტინიკოტინურ პროპაგანდასთან ერთად, ნიუ-იორკის შტატში სიგარეტს მხოლოდ საგანგებოდ დამუშავებული ქაღალდისგან უშვებენ, რომელიც თავისით ქრება, თუკი მწეველი რამდენიმე წამის განმავლობაში მას არ მოქაჩავს. ამის წყალობით, ჩაუქრობელი სიგარეტის ჩატოვება საფერფლეში არანაირ პრობლემეას არ წარმოადგენს.

## საჭესთან - უსიგარეტოდ!

**სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს თამბაქოს მოწევის კანონმდებლობით აკრძალვის ინიციატივა წამოაყენა რუსეთის ახალგაზრდობის კავშირმა. შესაბამისი მიმართვა სახელმწიფო სათათბიროს ტრანსპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ე.მოსკვიჩევს გაუგზაუვნეს.**

თავის წინადადებას კავშირის წევრები იმით ასაბუთებენ, რომ თამბაქოს მოწევა მანქანის მართვისას იმითაა სახიფათო, რომ მძღოლს ყურადღებას უფანტავს, თანაც კვამლი შესაძლოა თვალში მოხვდეს და გარკვეული დროით სივრცეში ორიენტირების უნარი დაუკარგოს. ამ შემთხვევაში კი საფრთხე ექმნება როგორც მძღოლისა და მისი მგზავრების, ასევე ფეხით მოსიარულეთა სიცოცხლეს.



რუსეთის საგზაო პოლიციის ცნობით, შარშან ქვეყანაში 200 ათასი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა აღირიცხა, რომელთა დროს დაზარალებულად სცნეს 250 ათასი კაცი. ავარიების ყველაზე ხშირი მიზეზებია ავტომანქანის მართვის დროს მძღოლის ტელეფონით ლაპარაკი და თამბაქოს მოწევა.

## შერპლანდის მთათა ნელი სიკვდილი

**მსოფლიოში მთათა უმაღლესი სისტემის ჰიმალაების ბედი მეცნიერებს უფრო მეტად იმიტომაც ადარდებთ, რომ იქ მარტო ასატანზე მეტ ჩასულ ტურისტთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც იზრდება.**

დამუშავებული მიწის ციდა ნაკვეთები ხალხს გამოსაკვებად აღარ ყოფნის, ამიტომაც ტერასები ზევით-ზევით მთებში მიიწევენ, რა დროსაც იქაური ტყეები ნადგურდება. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა შეშის ღუმელებს მთელი წლის მანძილზე ხმარობს – საჭმლის მოსამზადებლადაც და გასათბობადაც, ამიტომ დღე-ღამეში თითოეულ ოჯახს, სულ მცირე, 50 კილოგრამი შეშა სჭირდება!

დიდად დაზარლდა ბოლო წლებში ადგილობრივი საძოვრებიც, რომლებზეც დატვირთა რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა. საქონელი ბალახს არა მარტო კორტნის და თელავს, არამედ საფარის სტრუქტურასაც ანადგურებს. მოშიშვლებული ფერდობები კი მუსონური ქარებისა და თქეშების წინაშე უძლურნი არიან და მათი ეროზიაც უსწრაფესად ხდება – ოდესღაც ანკარა მდინარეები და ღელეები მღვრიე მოყვითალო-მოყავისფრო ნაკადებად არიან ქცეულნი. საქონელი ამ წყალს ასე თუ ისე სვამს, ადამიანებს კი სასმელი წყლის დეფიციტი უჩნდებათ. არადა, ჰიმალაი – უზარმაზარი „წყლის მექანიზმია“. თოვლის ღღვობისა და ტროპიკული მუსონების ნაკადები სუბკონტინენტის უდიდეს მდინარეებს – განგს, ინდსა და ბრაჰმაპუტრას კვებავენ. ათასწლეულების მანძილზე ჰიმალაის „წყლის ფილტრი“ სითხის უდიდეს ნაწილს შთანთქავდა და ამით ქვემოდ მდებარე ვაკეებს წამლეკავი წყალდიდობებისგან იცავდა, ტყეების განადგურებასთან ერთად მუსონები ამ უზარმაზარი რეგიონის ნამდვილ უბედურებად გადაიქცა. წყლის ჩანჩქერებს ყოველწლიურად თითო ჰექტარიდან 15 ტონა (ზოგან ასზე მეტიც!) ნოყიერი მიწა ოკეანეში მიაქვთ!

ახლა უკვე აღარავინ დაობს იმის თაობაზე, რომ საჭიროა ჰიმალაის უნიკალური სისტემის გადარჩენა, ვიდრე გვიან არ არის. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა როგორც ინდოეთში, ასევე ნეპალში უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს.

(დასაწყისი №156)

## ფრთა-ღრუბლების ფარი

**დედამიწაზე კლიმატური ცვლილებები წლიდან წლამდე სულ უფრო შესამჩნევი ხდება, მაგრამ ვითარების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერები დღემდე კამათობენ იმის თაობაზე თუ რა ხდება პლანეტარული მასშტაბით – დათბობა თუ...გამყინვარება.**

საქმე ისაა, რომ ნავთობისა და გაზის წვის შედეგად, დედამიწაზე თანდათანობით უფრო მეტი... სიცივეა, რის მიზეზი ისაა, რომ ენერგოშემცველთა დაწვის შედეგად ფრთა-ღრუბლები „იმჭვარტლებიან“. ისინი ატმოსფეროს ყველაზე ზედა, 8-15 კილომეტრის სიმაღლის ფენებში იმყოფებიან და ყინულისა და წყლის ორთქლის თანაბარი ნაწილებისგან შედგებიან. როცა ატმოსფეროში აზოტის მჟავის მინარევები მრავლადაა, რომელიც საწვავის დაწვის შედეგად წარმოიშვება, ყინული ბინძურდება და ღრუბლებში მისი წარმოქმნა იკლებს, შესაბამისად, იზრდება წყლის ორთქლის ოდენობა. ამის შედეგად ფრთა-ღრუბლების სისქე, „დაბინძურებულ“ ღრუბლებთან შედარებით, მცირდება, არადა სწორედ ფრთა-ღრუბლები აკავებენ მზის სითბოს დედამიწის ზედაპირთან. შედეგად კი, რაც უფრო მეტად თხელდება ფრთა-ღრუბლების სისქე, მით უფრო სითბოს კარგავს დედამიწა.

## „ბაყაყები“ წყალზე

**რომელი ჩვენგანი არ შეჯიბრებია ბავშვობაში (შემდგომშიც!) მეგობრებს, რომლის ნასროლი კენჭი უფრო მეტჯერ აისხლიტება წყლის ზედაპირიდან? თურმე, მეცნიერებმა იციან, თუ როგორაა საჭირო კენჭის სროლა, რომ შედეგი მაქსიმალური იყოს.**

აღმოჩნდა, რომ კენჭის სროლა 20 გრადუსი კუთხითაა საჭირო, რის შედეგად ის წყლის ზედაპირიდან, სხვა დანარჩენ შემთხვევებთან შედარებით, უფრო სწრაფად აისხლიტება, კონტაქტის დრო ძალიან მცირეა და ამიტომ მისი სიჩქარე, ფაქტობრივად, არ შეიცვლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი „ნახტომებისთვის“ კენჭს მეტი ენერგია შერჩება. არადა, მათ რიცხოვნობამ 38-ს შეიძლება მიაღწიოს, ყოველ შემთხვევაში გინესის რეკორდების წიგნში სწორედ ეს მიღწევაა დაფიქსირებული.



## ვაშლი... ტვინის სავარჯიშოდ

**ერთ-ერთი კვლევის დროს იაპონელმა მეცნიერებმა გასაოცარი ფაქტი დაადგინეს: თურმე სასარგებლოა ხილის არა მარტო ჭამა, არამედ მისი... გაფცქვნაც!**

აღმოჩნდა, რომ როგორც ხელში დანას ვიღებთ, და, ვთქვათ, ვაშლის გათლას ვიწყებთ, ქალა ტვინის შუბლის არეში სისხლის მიწოდება მატულობს. არადა ეს სწორედ ის უბნებია, რომლებიც აზროვნებასა და ინტელექტზეა პასუხისმგებელი.

თუმცა კი ჯერჯერობით მაინც ცნობილი არ არის, რომ რამდენიმე საათის მანძილზე გაუჩერებლად ვაშლის გათლის შედეგად ვინმე დიდად დაჭკვიანებულიყოს.

## ჯვარცმის ზუსტი დრო

**რუმინეთის ქალაქ კლუჟეს ასტროლოგებმა იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ზუსტი დრო გამოთვალეს. საამისოდ მათ კომპიუტერული პროგრამა გამოიყენეს, რომელმაც ბიბლიური თქმულებები და ძველ ასტრონომთა ისტორიული მონაცემებით ერთმანეთს შეადარა.**

ბიბლიის თანახმად, ქრისტე გაზაფხულის ბუნიაობის შემდეგ პირველი მთვარის მოვანების პირველი ღამის მომდევნო დღეს გარდაიცვალა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ბადრი მთვარობა სამ დღე-ღამეს გრძელდება, ზაფხულის ბუნიაობა კი 23 მარტს არის. ჩვენი წელთაღრიცხვის 26 და 35 წლებს შორის პერიოდის შესახებ არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ ამ ცხრა წლის მანძილზე მსგავსი ვითარება მხოლოდ ორჯერ იყო: ჩვენი წელთაღრიცხვის 30 წლის 7 აპრილს, პარასკევ დღეს და 33 წლის 3 აპრილს, პარასკევს. მაგრამ ასეთი დღე მხოლოდ ერთხელ დაემთხვა იერუსალიმში მზის სრულ დაბნელებას, როგორც ეს ქრისტეს გარდაცვალების აღწერისას ბიბლიაშია აღნიშნული.

დამატებით გამოანგარიშებათა ჩატარების შემდგომ კი მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მაცხოვარი 33 წლის 3 აპრილის დღის 3 საათზე გარდაიცვალა, ხოლო ზეცაში 5 აპრილის დილის 4 საათზე აღევლინა.

## იქნებ თვალისჩინდაკარგულებსაც ეშველოთ...

**იაპონელმა ექიმებმა „მხედველობის შემცვლელი“ შექმნეს.**

მინი-კომპასისა და ელექტროდისაგან შემდგარი თვალის ბროლის ნეიროპროტეზი, დაბრმავებულ ვირთაგვებს სივრცეში ორიენტირების შესაძლებლობას აძლევს, რის შედეგად რთული ლაბირინთების გავლას ისინი თავის მხედველი თანამოძმეებივით ადვილად ახერხებენ. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ეს გამოგონება მათ ადამიანებისთვის მხედველობის შემცვლელის შექმნაში დაეხმარებათ.

## წნევის აცრა

**მედიკოსებმა ჰიპერტონიის ვაქცინა შეიმუშავეს.**

ახალი პრეპარატი სისხლძარღვთა შევიწროვების გამომწვევ ჰორმონზე ზემოქმედებს. ამის შედეგად სისხლძარღვები დუნდება და წნევაც ქვევით ჩამოდის. ექიმები აღნიშნავენ, რომ ეს აცრა მისწრებაა ეგრეთ წოდებული უდისციპლინო პაციენტებისთვის, რომელთაც წამლის დროულად მიღება ავიწყდებათ.



კალათბურთი

# ბერძნებმა საბოლოო შემადგენლობა დაასახელეს



**2015 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ერთ-ერთი მეტოქის საბერძნეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოტის კაციკარისმა ევრობასკეტ-2015-ისთვის საბოლოო, 12-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ბერძნები წლევანდელ ევრობასკეტზე უძლიერესი შემადგენლობით წარსდგებიან.**

საბერძნეთის ეროვნული ნაკრების 12-კაციანი შემადგენლობა: ვასილის სპანულისი, გიორგიოს პრინტეზისი, ვანგელის მანცარისი (სამივე „ოლიმპიაკოსი“), ნიკ კალატესი („პანათინაიკოსი“), სტრატოს პერპეროღლუ („ბარსელონა“), კოსტას კაიმაკოღლუ („უნიქსი“), ნიკოს ზისისი („ბამბერგი“), კოსტას სლუკასი („ფენერბახჩე“), იანის ბურუსისი (თავისუფალი აგენტი), კოსტას პაპანიკოლაუ („დენვერი“), კოსტას კუფოსი („საკრამენტო“), იანის ანტეტოკუნმბო („მილუოკი ბაქსი“).

ევრობასკეტ 2015-ის C ჯგუფში საქართველოსა და საბერძნეთთან ერთად ჰოლანდიის, სლოვენიის, მაკედონიისა და მასპინძელი ხორვატეთის ეროვნული ნაკრებები იასპარეზებენ. ჯგუფიდან პლეი-ოფში საუკეთესო 4 ნაკრები გადის.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# საქართველოს „მეზობლები“ შეეცვალა

**მსოფლიო თასის დაწყებამდე 25 დღით ადრე საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო რაგბის ყოველკვირეულ რეიტინგში „მეზობლები“ შეეცვალა.**

რეიტინგში „ბორჯღალოსნების“ წინ მყოფმა შოტლანდიამ ქართველთა უკან მდგომი იტალია ტურინში 16:12 დაამარცხა. ეს არ იყო „სქოთთა“ ყველაზე ლამაზი გამარჯვება, მაგრამ საკმარი-



სი აღმოჩნდა ტონგასა და სამოას დასაქვეითებლად და ტოპ 10-ში დასაბრუნებლად. შოტლანდიამ რეიტინგში 1 ქულა მიიღო და ახლა საქართველოს ნაკრების წინ, მე-12 პოზიციაზე სამოაა. 1 ქულა დაკარგა იტალიამ და მე-14 პოზიცია იაპონიას დაუთმო, რომელმაც ურუგვაი 30:8 კი დაამარცხა, მაგრამ ეს მის სარეიტინგო ქულებზე არ ასახულა.

აშშ-მა ზედიზედ მესამედ სძლია მეზობელ კანადას, ამჟამად ოტავაში 41:23 და სარეიტინგო მონაგარი კიდევ 1,27 ქულით გაზარდა, მაგრამ იტალიას 0,48 ქულით ჩამორჩება და კვლავ მე-16 საფეხურზე რჩება. ქულების დაკარგვა არ ასახულა კანადის რეიტინგზეც, რომელიც კვლავ მე-18-ეა, თუმცა, ურუგვაი მას უკვე მისაწვდომ ზღვარზე მიუახლოვდა.

საფრანგეთთან 20:25 მარცხი ძვირად დაუჯდა ინგლისს, რომელმაც 1,29 ქულა დაკარგა და მე-4 ადგილი სამხრეთ აფრიკას დაუთმო, თავად კი უელსს მხოლოდ 1,3 ქულით უსწრებს. საფრანგეთი მე-7 ადგილზე რჩება და იმავე უელსს ორზე ცოტა მეტი ქულით ჩამორჩება.

**მსოფლიო რაგბის სადღეისო რეიტინგი**

1 (1). ახალი ზელანდია 92,89, 2 (2). ირლანდია 86,89, 3 (3). ავსტრალია 86,67, 4 (5). სამხრეთ აფრიკა 85,15, 5 (4). ინგლისი 84,24, 6 (6). უელსი 82,94, 7 (7). საფრანგეთი 80,90, 8 (8). არგენტინა 78,39, 9 (9). ფიჯი 77,04, 10 (12). შოტლანდია 75,79, 11 (10). ტონგა 77,25, 12 (11). სამოა 75,14, 13 (13). **საქართველო** 72,16, 14 (15). იაპონია 71,15, 15 (14). იტალია 70,84, 16 (16). აშშ 70,36, 17 (17). რუმინეთი 66,73, 18 (18). კანადა 63,28, 19 (19). ურუგვაი 62,11, 20 (20). ნამიბია 61,85.

**კობა კობახიძე**

საფეხბურთო მოზაიკა

## „იუნაიტედი“ ნეიმარსაც მიადგა

**ინგლისის პრემიერლიგის ბინადარი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კატალონიის „ბარსელონას“ ნეიმარის სანაცვლოდ 190 მილიონ ევროს სთავაზობს. ამის შესახებ ინგლისური „სანი“ და ბრაზილიური globoesporte იუწყებიან. ასეთი შეთავაზების მიუხედავად, „ბარსას“ პრეზიდენტმა ხოსეპ მარია ბართომეუმ ფეხბურთელის გასხვისება გამორიცხა:**



ნეიმარი „ბარსელონაში“ დარჩება. უფრო რეალურია ვისაუბროთ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. სიამოვნებით დავიტოვებდი მას კარიერის ბოლომდე ჩემს გუნდში“, — უთხრა ბართომეუმ „რადიო კატალონიას“.

## ბალოტელი სამედიცინო შემოწმებას „მილანში“ გადის

**სკანდალური თავდამსხმელი მარიო ბალოტელი, რომელმაც განვლილი სეზონი ინგლისის „ლივერპულში“ გაატარა, სამედიცინო შემოწმებას „მილანში“ გადის. ამის შესახებ Sky Sport-ის ჟურნალისტი პეპე დი სტეფანო თავის „ტვიტერში“ იუწყება. მან სოციალურ ქსელში 25 წლის იტალიელის ფოტოც განათავსა, რომელიც მილანში სამედიცინო კომისიაზე ჩავიდა.**



მოსალოდნელია, რომ „ლივერპული“ ბალოტელის „მილანში“ ერთი წლით უფასოდ გაანათხოვრებს.

იტალიელი ფორვარდი „ლივერპულში“ შარშან ზაფხულში სწორედ „მილანიდან“ გადავიდა და მერსისაიდელთა მაისურით ყველა ტურნირზე ჩატარებულ 28 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

## ბენზემამ ვარჯიში განაახლა

**„რეალის“ ფრანგმა შემტევმა ქარიმ ბენზემამ უშინ კლუბთან ერთად ივარჯიშა. ამის შესახებ ინფორმაციას „სამეფო კლუბის“ ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.**

**წყაროს ცნობით, ბენზემას ტრავმა აღარ აწუხებს.**



როგორც იცით, დაახლოებით ერთი თვის წინათ ბენზემამ „მილანთან“ ამხანაგურ მატჩში მარჯვენა ბარძაყის კუნთის ტრავმა მიიღო, რის მერეც ფრანგი მინდორზე აღარ გასულა.

ბენზემა გუნდს ვერც პრიმერადივიზიონის პირველი ტურის გასვლით მატჩში „ხიხონის“ (0:0) წინააღმდეგ ვერ დაეხმარა.

განვლილ სეზონში შემტევმა ყველა ტურნირზე 22 გოლი გაიტანა.

## კუადრადო ტურინში ჩაფრინდა

**კოლუმბიელი ნახევარმცველი ხუან კუადრადო, რომელიც წინა სეზონში ლონდონის „ჩელსიში“ გამოდიოდა, იტალიაში ჩაფრინდა, რათა ტურინის „იუვენტუსში“ სამედიცინო შემოწმება გაიაროს. ამის შესახებ bbc.com იუწყება.**

„ჩელსი“ კუადრადოს „იუვენტუსში“ განათხოვრებას ერთი წლით აპირებს, რის სანაცვლოდ 1,5 მილიონ ევროს მიიღებს. ამავე დროს, გარიგებაში ჩაიდება პუნქტი, რომლის თანახმად ტურინელებს მომავალი წლის ზაფხულში კოლუმბიელის ტრანსფერის 25 მილიონ ევროდ გამოსყიდვის შანსი ექნებათ.

კუადრადო „ჩელსიში“ მიმდინარე წლის თებერვალში „ფიორენტინადან“ 33 მილიონ ევროდ გადავიდა.

**გიორგი შოთაძე**




ინტერნეტიდან

# ტიბო კურტუამ ემილი ვანჰოუტი მოატყუა

**ნამეტნავად გადარეული ვინმეა ბელგიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ გოლკიპერი ტიბო კურტუა, რომელსაც ქალები ვითარცა თაფლს ბუზები ისე ახვევია და მიუხედავად იმისა, რომ მეკარე გარეგნობით უწყინარ კაცსა ჰგავს, მისი ქალთმოყვარეობა უკვე საქვეყნოდ ცნობილი ამბავი გახლავთ.**



გარდა ქალთმოყვარეობისა, ტიბო კურტუას თურმე აფერისტობა და ქალების მოტყუებაც განსაკუთრებით ჰყვარებია და როგორც ჭეშმარიტად მსუნაგ მაჩოს შეეფერება, უკვე დავთრები აქვს არეული, ვის როდის აუხსნა სიყვარული და ვისთან მხოლოდ მწყაზარ და „საქმიან“ სექსზე შეთანხმდა.

ცოტა ხნის წინათ, თანამემამულე მოდელმა, „მის ბელგიის“ წოდების მფლობელმა ემილი ვანჰოუტმა განაცხადა, რომ ტიბო კურტუა მისი ოფიციალური სატრფო იყო და მათი ტრფობა აღარავისთვის იყო დასამალი, თუმცა, ემილის განცხადებას მერე სხვა ქალების განცხადებებიც მოჰყვა და გაირკვა, რომ კურტუას მათთვისაც იგივე სიტყვები უთქვამს. ახლა მოდი და გაიგე ამ გადარეული მექალთანე ჯეელის ფიქრები და ავან-ჩავანი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# გამოუძინებლობით დატანჯულები

**ხშირად ხდება ხოლმე, რომ იმის მიუხედავად, რომ თითქოს კარგად გეძინათ, დილით მაინც მოთენთილი ილვიძებთ, სიმხნევე აშკარად გაკლიათ.**



ამის ბრალი შეიძლება იყოს მოუხერხებელი საწოლი, ჭარბი განათებულობა, ხმაური, მაღალი ან დაბალი ტემპერატურა, ძილის სტაბილურობის რეჟიმის დაუცველობას შეუძლია თავად დაძინებასთან შემდგომ კი გაღვიძებასთან პრობლემები შეგიქმნათ. ამასთან, გამოუძინებლობის შეგრძნება, შესაძლოა, ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებთან იყოს დაკავშირებული. დღე-ღამის განმავლობაში რეკომენდებული 8-საათიანი ძილი – ესაა საშუალო მაჩვენებელი. სინამდვილეში კი თითოეულ ადამიანს ეს მაჩვენებელი განსხვავებული აქვს. არიან ადამიანები, ვისთვისაც დღე-ღამეში 4-5 საათის ძილი სავსებით საკმარისია, ზოგს კი საამისოდ 10-12 საათი სჭირდება. ასეთ ხალხს, ცხადია, 8 საათი ძილი არ ჰყოფნის. ხოლო თუკი საკმარისად გძინავთ, მაგრამ მაინც გამოუძინებელი ილვიძებთ, ეს ექიმ-სომნოლოგისთვის მიმართვის საკმაოდ საფუძვლიანი საბაბია.

მედიკოსები ძილის დაავადებათა დაახლოებით 90 სახეობას ითვლიან, რომელთაგან მსგავსი გამოვლინება ბევრს ახასიათებს.

# ფეხმძიმობა ციფრებსა და ფაქტებში

**ქალის ორგანიზმში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის განვითარების პროცესს, რის შედეგად ნაყოფი ყალიბდება, ფეხმძიმობა ეწოდება; მენსტრუაციის ციკლის შეწყვეტიდან ვიდრე ბავშვის გაჩენამდე, ქალის ფეხმძიმობა, საშუალოდ 280 დღე გრძელდება; იმ წყვილთა შორის, ვისაც ბავშვის ჩასახვა სურს, ქალის პირველივე განაყოფიერებისას ამის გაკეთებას მხოლოდ 25 პროცენტი ახერხებს; ფეხმძიმობა შეიძლება იყოს მრავალნაყოფა (როგორც ერთი, ასევე ორუჯრედიანი). ერთუჯრედა ტყუპები ერთი უჯრედიდან ვითარდებიან, რომელიც ერთი სპერმატოზოიდითაა განაყოფიერებული.** ორუჯრედა ტყუპები კი სხვადასხვა სპერმატოზოიდებით განაყოფიერებული ორი კვერცხუჯრედიდან ვითარდებიან; ერთნაყოფა ფეხმძიმობის დროს 9-15 კილოგრამის მომატება ოპტიმალურია, მრავალნაყოფიანობის დროს კი ეს მაჩვენებელი 16-დან 20 კილოგრამამდე მატულობს; დედის მუცელში ნაყოფის განვითარების პერიოდს, პირობითად, ორად ყოფენ ლემბრონალური (პირველი რვა კვირა) და ფეტალური (დაწყებული მეცხრე კვირიდან ვიდრე ორსულობის დასრულებამდე); პირველად მშობიარე ქალები ნაყოფის მოძრაობას პირველად მე-18-მე-20 კვირებში, ხოლო მომდევნო შვილებზე – მე-16-მე-18 კვირებზე გრძნობენ; ზოგიერთ ქალს ხანდახან ცრუფეხმძიმობა აქვს, რა დროსაც ნამდვილი ფეხმძიმობის ნიშნები აღენიშნებათ: მენსტრუაციის შეწყვეტა, სარძევე ჯირკვლების გადიდება, მუცლის ზრდა, ტოქსიკოზი. ამის მიზეზი ფსიქიკაში ცვლილებებია, რაც დედობის დიდი სურვილით, ანდა, პირიქით, ფეხმძიმობის მდგომარეობის პანიკური შიშითაა განპირობებული; ზუსტად დროულად ბავშვების მხოლოდ 10 პროცენტი იბადება; თუკი ფეხმძიმობის ადრეულ სტადიაზე, რაღაც მიზეზთა გამო, ნაყოფი იღუპება იგი, შესაძლოა, „ქვად“ იქცეს და გარედან კალციუმის გარსი გაიკეთოს. ზოგიერთი ქალი ასეთი „ქვებით“ წლების მანძილზე ცხოვრობს, ზოგჯერ კი, სულაც, ახალ შვილებს აჩენს; ფეხმძიმობის სპონტანურად შეწყვეტის საშიშროების საფრთხე ადრეულ პერიოდში 10-ჯერ უფრო მაღალია; ჰორმონი პროგესტერონი, რომელიც პლაცენტაში წარმოიშვება და სარძევე ჯირკვლებს ლაქტაციისთვის ამზადებს, ფეხმძიმე ქალებში ძილქუშს, დაღლილობასა და ყურადღების გაბნევას იწვევს; ფეხმძიმობის დროს დედის ორგანიზმს ეზრდება A, B, D, E, K, PP და, განსაკუთრებით, C ვიტამინების მოთხოვნილება, რაც ამ ნივთიერებებით ნაყოფის მომარაგების აუცილებლობითაა განპირობებული; ფეხმძიმე ქალის სითხე, რომელშიც ნაყოფია მოთავსებული, იმდენივე მარილს შეიცავს, რამდენსაც ოკეანის წყალი; არის შემთხვევები, როცა მომავალი მამები, თავიანთი მეუღლეების დარად, ფეხმძიმობის ყველა ნიშნის მატარებლები ხდებიან: ისინიც წონაში იმატებენ, მუცლის ქვედა ნაწილში კრუნჩხვებს გრძნობენ და დილაობით გულისრევის შეგრძნება აქვთ.



# „პარაზიტული“ საფრთხე

**კოღოზე აბეზარა მწერი, ყოველ შემთხვევაში ადამიანისთვის, ალბათ, არ არსებობს. არადა, თურმე, ამ სისხლისმწოველთა კბენის შედეგად დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.**

– გამორიცხული არ არის, რომ ბევრი ჩვენგანი ამჟამად დაავადებულიც კი არის, მაგრამ



ამის შესახებ თავადაც არ იცის, – ამბობს მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ბრონშტეინი. – კოღოებს პარაზიტები ძაღლებისგან ადამიანებზე გადააქვთ, სისხლიდან კი ძუასავით წვრილებს, მათ ნებისმიერ ორგანოში შეღწევა შეუძლიათ(!). ძალიან ხშირად ისინი თავზე, თვალის ქუთუთოებზე, ხელებსა და ფეხებზე, მკერდზე და მუცელზე და ა.შ. კანქვეშ დაცოცავენ და სიმსივნეებს წარმოშობენ, რომლებიც დროდადრო, ერთ ადგილას ქრებიან, მერე კი სხვაგან კვლავ წარმოიქმნებიან. სიმსივნის არეში აღინიშნება წვა, ქავილი და შეშუპება, ზოგჯერ კი პაციენტები სულაც საკუთარი თვალით ხედავენ, თუ როგორ გადაადგილდება პარაზიტი კანქვეშ დღეში რამდენიმე სანტიმეტრით. ეს, პრინციპში სახიფათო არ არის, თუმცა კი მეტად უსიამო გაცილებით უარესია, ასეთი გელმინდი შიდა ორგანოებში, ვთქვათ ფილტვებში, ან თვალებში აღწევს, რასაც თვალისჩინის დაკარგვა შეიძლება მოჰყვეს.

ასეთ შემთხვევებში დიაგნოსტიკა მეტად გართულებულია, სნეულების ზუსტად დადგენა მხოლოდ სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ მისი ქსოვილის პარაზიტის არსებობაზე ანალიზის ჩატარების შემდეგაა შესაძლებელი. თანაც ამ დროს ჭიები სხეულში დარბიან და მათი ქირურგიული გზით მოშორება თითქმის შეუძლებელია.

უბედურება ისაა, რომ საიმედო და ეფექტიანი პროფილაქტიკა, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამიტომ, თუკი ისეთ ადგილას ისვენებთ, სადაც ბევრი კოღოა, გირჩევთ, რომ მათგან თავდაცვის საშუალებებზე, მათ შორის, ბადეებზე, მკვრივი ქსოვილის ტანსაცმელზე, რეპელენტებზე წინასწარვე იზრუნოთ.

არდავიწყება

# შოთა გამყრელიძე



გარდაიცვალა ვეტერანი **შოთა აკაკის ძე გამყრელიძე**.

დაიბადა 1922 წლის 24 თებერვალს, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში. 1940 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. დიდი სამამულო ომის დაწყებამ მოუწია უკრაინაში, ომში ჩაება ბელორუსიის ტერიტორიაზე, შემდეგ იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, სადაც მიიღო ჭრილობა და სათანადო მკურნალობის შემდეგ, როგორც ინვალიდი, დემობილიზებულ იქნა.შოთა გამყრელიძე ჭიათურის საპატიო მოქალაქე იყო. გახლდათ ქალაქის ვეტერანული მოძრაობის აქტივისტი, ვეტერანთა რაიონული საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის, დიდების მესამე ხარისხის და ღირსების ორდენებით, მრავალი საბრძოლო და საიუბილეო მედლით, საპატიო ნიშნებითა და სიგელებით. ასევე იგი იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის „სამშობლოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# განცხადება

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 19.5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1[1] პუნქტის შესაბამისად, სს „ელმავალმშენებლის“ აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის LOKO TRANS HOLDINGS B.V.-ის დირექტორი კომპანიის Allied Corporate Management B.V.-ის დირექტორმა, სს „ელმავალმშენებლის“ წესდებაში ცვლილებებთან დაკავშირებით, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. საზოგადოების წესდების პუნქტი 19.12-ის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენენ ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას“.

2. საზოგადოების წესდების პუნქტი 20.17-ის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ძირითადი საშუალებების (მიწის, შენობის და ნაგებობის გარდა) შეძენის, გასხვისების ან გაცვლის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარამდე ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენენ ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას“.

3. საზოგადოების წესდების პუნქტი 21.6-ის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის უზრუნველყოფისათვის დებს ძირითადი საშუალებების (მიწის, შენობის და ნაგებობის გარდა) შეძენის ან გასხვისების გარიგებებს, რომელიც არ აღემატება 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, წარმოების ძირითადი საშუალებების შეძენის ან გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან გარიგების დადების დღისათვის“.

4. საზოგადოების წესდების 21.10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

21.10. „გენერალური დირექტორის არყოფნისას, მისი ბრძანების საფუძველზე, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობს და გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებს საზოგადოების რომელიმე დირექტორი“.

5. საზოგადოების წესდებიდან ამოღებული იქნას მუხლი 22 „საზოგადოების დეპარტამენტები“.

6. დაევალოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ცვლილებების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

ინფორმაცია

# თურქეთში „შაჰ დენიზის“ გაზსადენი ააფეთქეს



**„შაჰ დენიზის“ გაზსადენზე თურქეთში აფეთქება მოხდა, რის შედეგად აზერბაიჯანიდან თურქეთში ბუნებრივი აირის მიწოდება შეფერხდა. ამის შესახებ „როიტერი“ იტყობინება. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება ქურთმა მებრძოლებმა განახორციელეს. ჯერჯერობით უცნობია თუ როდის აღდგება გაზის მიწოდება.**

**ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე აფეთქება რამდენიმე კვირის წინ, 4 აგვისტოსაც მოხდა, რის გამოც 23 აგვისტომდე ასევე შეფერხებული იყო ბუნებრივი აირის მიწოდება.**

**„შაჰ დენიზი“ აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილი გაზსადენია, რომელიც „ბრიტიშ პეტროლიუმთან“ და აზერბაიჯანულ სახელმწიფო ენერგოკომპანია „სოკართან“ თანამშრომლობით შეიქმნა.**

## გემოვნების ანბანი

# „ესკიმოსური ღვეზელი“

**ყოველ სამ წამში დედამიწაზე ვიღაცა ულუფა ნაყინს მიირთმევს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ტკბილი ნუგბარი ერთიანად უყვართ დიდებსაც და პატარებსაც.**

ხილის პატარ-პატარა ნაჭრების თუ წვენების გაყინვა ადამიანებმა უხსოვარ დროს ისწავლეს. მაგალითად, ჩ.წ.ა. ოთხი ათასი წლის წინათ, ძველ ჩინეთში, ყინულთან ერთად გახეხილი ხილი იმპერატორის სუფრაზე მიჰქონდათ. სხვათა შორის, მსგავს დესერტს ცისქვეშეთის სამხრეთში დღესდღეობითაც ამზადებენ. ზოგიერთ პროვინციულ ქალაქში ახლაც ნახავთ ხილის გამყიდვლებს, რომლებსაც ნაყოფებით სავსე კალათების გვერდით ყინულიანი მაცივარ-ჩანთები უდგათ და ნაყინს იქვე, მუშტრის გემოვნებისდა მიხედვით და მისივე თანდასწრებით ამზადებენ. ვაჭარი მყიდველის თვალწინ წვრილად დაჭრის შერჩეულ ხილის ნაყოფს, ვთქვათ, ანანასს, პაპაიას ან მანგოს და ნელნელა დაიწყებს ყინულის ნაფშვენებთან მის არევას. როგორც კი მთელი მასა ერთგვაროვანი გახდება, დესერტი მზად არის!

თუმცა ისიცაა, რომ ნაყინი ჩინელებს სულაც არ მოუგონიათ. მაგალითად, რუსეთში სოფლებში რძეს ლანგრებზე ყინავდნენ და ამ „ბლინებით“ შინაურებს თუ სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ.

ევროპაში კი „ცივი ბუმი“ ცნობილ იტალიელი მოგზაურის მარკო პოლოს სახელს უკავშირდება, რომელმაც თანამემამულეებს ნაყინის მომზადების ჩინური რეცეპტი გააცნო. მაგრამ, ასეთი ნაყინი მალევე დნებოდა, თანაც მის მომზადებას დიდი დრო სჭირდებოდა. ამიტომ, შუასაუკუნოვანმა ქიმიკოსებმა ნუგბარის სრულყოფა გადაწყვიტეს და ყინულს გვარჯილის დამატება დაუწყეს, რომელიც მისი დნობის პროცესს ანელებდა. ბუნებრივია, რომ ასეთი ნაყინი ჯანმრელობისთვის დიდი სიკეთის მომტანი არ იყო, მაგრამ მოწამვლის ხშირი შემთხვევები ნუგბარის ტრფიალებს მაინც არ აშინებდათ.

თანადათანობით ნაყინის ნაირნაირი სახეობა გაჩნდა. პირველი კაფე კი, სადაც მხოლოდ ნაყინით ვაჭრობდნენ, 1782 წელს პარიზში გაიხსნა.

ნაყინის გაუმჯობესებაში თავიანთი წვლილი ამერიკელებმაც შეიტანეს: ესკიმოს გამოგონების პატივი სწორედ მათ ეკუთვნით. ამ პოპულარული ნუგბარის ავტორი მეკონდიტრე ქრისტიან ნელსონი გახდა, რომელმაც 1920 წელს ნაყინის ბრეკეტს შოკოლადი გადაასხა და მას Eskimo pie –„ესკიმოსური ღვეზელი“ უწოდა.

ხის ჩხირი კი ესკიმომ მოგვიანებით „შეიძინა“: 1923 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო ბიურომ ოფიციალური პატენტი გასცა ფრენკ ეპერსონზე, რომელიც 1905 წლიდან მოყოლებული ხის ჩხირზე წამოცმულ გაყინულ ლიმონათს ყიდდა. თუმცა ესეც შემთხვევით მოხდა: ერთ ცივ დღეს მას უბრალოდ გარეთ დარჩა გაზიანი წყლით სავსე ჭიქა, რომელშიც დასალევი მილაკი იდო. ასე დაიბადა იდეა, რომელიც არა მარტო ხილის ყინულისთვის, არამედ ესკიმოსთვისაც გამოსადექი გახდა.



პირველი ვაფლის ჭიქა ნაყინისთვის ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა მე-19 საუკუნის მიწურულს. ვაფლით მოვაჭრე სირიელმა ემიგრანტმა ერნსტ ჰამვიმ თავისი კოლეგისთვის, ნაყინით მოვაჭრისთვის დახმარების გაწევა დააპირა, რომელსაც თეფშები შემოელია, რომლებზეც თავის ნუგბარს აწყობდა, მყიდველებისგან კი უზარმაზარი რიგი დადგა. მაშინ საზრიანმა ვაჭარმა ვაფლის ფირფიტა დაახვია და მეგობარს მიაწოდა. მოგვიანებით ჰამვიმ გამოგონების პატენტიც აიღო, მისი ფირმა კი მხოლოდ დახვეულ ვაფლის კოტოშებს უშვებდა.

ცხადია, რომ ნაყინს დიეტური ნუგბარი ნამდვილად არ ეთქმის, თუმცა კი გარკვეული სარგებელი მაინც მოაქვს. **მისი თითოეული ულუფა B ჯგუფის ვიტამინებს შეიცავს, რომლებიც კარგ გუნებას გვიქმიან, აუმჯობესებენ ძილს, კანსა და თმას. ასევე მრავლადაა A, D და E ვიტამინები.** A ვიტამინი კარგია მხედველობისთვის, D ვიტამინი აუმჯობესებს კალციუმის ათვისებას, E ვიტამინი კი კანს ნაოჭებისგან და გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან იცავს. ნაყინში ასევე ბევრია ისეთი მიკროელემენტი, როგორებიცაა კალციუმი, რკინა, მაგნიუმი და ფოსფორი.

ამასთან, მოარული აზრისგან განსხვავებით, **ნაყინი გაციებას კი არ იწვევს, პირიქით, ყელისთვის ერთგვარი გამკაჟავის როლს ასრულებს.** ერთ-ერთი პირობა კი ისაა, რომ გასაკაჟებლად ნაყინის დიდი ნაჭრების მოკმეჩა საჭირო არ არის, ის ნელნელა უნდა ლოკოთ.

**ნაყინის ერთი სტანდარტული ულუფა შეიცავს:**

- **200 კკალ.**
- **15 გრ. შაქარს**
- **ხარისხის შესაბამისად 3-დან 20 გრამამდე ცხიმს.**
- **ასევე A, D, E და B ჯგუფის ვიტამინებს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინასა და ფოსფორს.**

**იმისათვის, რომ ნაყინით ისიამოვნოთ, ის საგანგებოდ უნდა აარჩიოთ.**

- **კარგ ნაყინში არ უნდა იყოს მცენარეული ცხიმები, მასში ქოქოსის, პალმისა და სხვა მცენარეული ცხიმების არსებობა უხარისხობის პირველი ნიშანია. ნაყინში მხოლოდ ნაღების ცხიმი უნდა იყოს, რძე კი ნატურალური და არა სოიოსი.**
- **უსტაბილიზატორო ნაყინის ყიდვა გაგიჭირდებათ, მაგრამ უპირატესობა მაინც ბუნებრივ დანამატებს უნდა მიანიჭოთ, მაგალითად, აგარ-აგარსა და ჟელატინს.**
- **შოკოლადის ნაყინში თავად შოკოლადი 6 პროცენტი მაინც უნდა იყოს, ანდა 2,5 პროცენტი კაკაო.**
- **ნაყინი დაჭყლეტილი არ უნდა იყოს. თუკი ჭიქის ან ესკიმოს ფორმა დარღვეულია, ეს, შესაძლოა, იმის ნიშანი იყოს, რომ ნაყინი რამდენჯერმე გალღვა და შემდეგ კვლავ გაიყინა. ანდა ინახებოდა არა მინუს 18 გრადუსზე, როგორც საჭიროა, არამედ უფრო მაღალ ტემპერატურაზე. სითბოში ნამყოფი ნაყინი კი ყველანაირი მიკრობების ბუდე ხდება.**
- **თუკი ნაყინი ფერით ქაღალდის ფურცლისგან არ განსხვავდება, სავარაუდოა, რომ ის არა რძისგან, არამედ სოიოს კონცენტრატიდანაა დამზადებული. კარგი ნაყინი არ შეიძლება ძალიან თეთრი იყოს.**

მოამზადა
**დალი ხუნდაძე**

# როგორ აღიდგენს ორგანიზმი თავს, როცა მოწევას თავს ანებებთ...

**გადაწყვიტეთ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ და სიგარეტს თავი დაანებოთ? მაშინ უნდა იცოდეთ, თუ რას განიცდის თქვენი ორგანიზმი და როგორ იწყებს აღდგენას. თურმე ორგანიზმი განახლებას ბოლო მოწეული სიგარეტიდან რამდენიმე წუთში იწყებს.**

- 20 წუთის შემდეგ აღდგენას იწყებს სისხლის მიმოქცევა და უფრო მგრძნობიარე ხდება თითები ხელებსა და ფეხებზე.
- 8 საათის შემდეგ, ორგანიზმიდან ნახშირბადის მონოქსიდის გამოდევნა ხდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლში ჟანგბადის საჭირო ნორმა აღდგა.
- 2 დღის შემდეგ ორგანიზმი სრულიად თავისუფლდება ნიკოტინისგან და თქვენ შეგიძლიათ, დაემშვიდობოთ პატარა კრისტალებს, რომლებიც მოწევისკენ გიბიძგებთ, მაგრამ ამის მერე იზრდება თამბაქოს მოთხოვნილება.



- 2 დღის შემდეგ ბრუნდება გემოს შეგრძნება, გემოს რეცეპტორები აღდგენას იწყებს და თქვენ შეძლებთ, არა მარტო გემო გაუგოთ საკვებს, არამედ შეძლებთ, შეამციროთ მარილის დამატება საკვებში, რაც ისედაც უწყობს ხელს ჯანმრთელობას.
- 2 დღის შემდეგ თქვენ უკეთესად შეიგრძნობთ სუნს და უფრო სასიამოვნო იქნება თუნდაც ვარდის სუნის შეგრძნება.
- 3 დღის შემდეგ თქვენ თავისუფლად დაიწყებთ სუნთქვას, რადგან ფილტვებში აღდგენას იწყებს მოციმციმე, ანუ წამწამოვანი ეპითელიუმი, რომელიც სასუნთქ გზებს ასუფთავებს. მოწევა საკმაოდ აზიანებს მათ, საბედნიეროდ, მათ აღდგენის უნარი გააჩნიათ.
- ერთი კვირის შემდეგ მცირდება სისხლის წნევა და ინსულტის რისკი, იკლებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების საშიშროება, გულის და თირკმლის უკმარისობა და სტენოკარდია.
- მოწევის მიტოვების დროს წარმოიქმნება ხველება, რადგან თქვენი ორგანიზმიდან უნდა გამოიდევნოს მავნე ნივთიერებები და ორგანიზმმა დაიწყოს აღდგენა.
- ხველება მხოლოდ 2 კვირის შემდეგ ქრება. სრულიად აღდგება სისხლის მიმოქცევა და უმჯობესდება სქესობრივი ცხოვრება.
- 2 კვირის შემდეგ სისხლი უკეთესად აღწევს პერიფერიებში, რაც იწვევს უფრო ხანგრძლივ და ძლიერ ერექციას მამაკაცებში.
- ნიკოტინი ზღუდავს სისხლის მიწოდებას კანის უჯრედებში და წარმოიქმნება ნაოჭები, კანი ხდება უხეში. სიგარეტის გადაგდებიდან სამი თვის შემდეგ სრულად აღდგება კანის ელასტიურობა და შეფერილობა.
- 1 წლის მერე მოწევაზე უარის თქმა შეეტყობა კბილებსაც, გაყვითლებული კბილები თეთრდება და ღრძილებში სისხლის ნორმალური მიმოქცევა იწყება.
- 15 წლის შემდეგ კი კიბოს განვითარების რისკი იკლებს და ნორმალურ ზღვარს უახლოვდება.

## კადრი



რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
2 9 3 - 3 7 - 8 7

## ცინცხალი ანეკდოტები

— **გოგონი**, გოგონი, დედათქვენს სასიძო არ სჭირდება?
— როგორ არა, როგორ არა, ძალიანაც სჭირდება!
— ნეტავ რატომაა, რომ სულაც არ მიკვირს?!...

* * *

— **დღეს** კი, ჩემო ძვირფასო, ჩვენ, როგორც იქნა, სახლში მარტონი დავრჩებით, — ეუბნება ზურაბა თავის სატრფოს.
— კინოს სამი ბილეთი ვიყიდე.
— კი მაგრამ, გენაცვალე, რატომ სამი?
— როგორ თუ რატომ — დედაშენისთვის, მამაშენისთვის და შენი დისთვის!



* * *

— **გასულ** კვირადღეს ბავშვები მყავდა კახეთში, ვირი ვაჩვენე.
— ეგ ვითომ რატომ?
— რატომ და იმიტომ, რომ იცოდნენ როგორია ნამდვილი ვირი. თორემ ეგენი დედას რომ უსმენენ, არასწორი წარმოდგენა ექმნებათ, ამ კეთილშობილ ცხოველზე!

* * *

**ბუღალტერი** მივლინებიდან დაბრუნებული თანამშრომლის ანგარიშს ამოწმებს.
— ეს რა არის?
— ეს, ბატონო, სასტუმროს ანგარიშია.
— კი, მაგრამ, სასტუმროს ყიდვა ვინ დაგავალათ?

* * *

**ხშირად** მეკითხებიან, რა არის ბედნიერება. ბედნიერება ისაა, როცა შენი ცოლი ჰგავს იდეალს, ბავშვები გგვანან შენ, სამსახური ჰგავს ჰობის, თანაც სიდედრი შენს უფროს არა ჰგავს, უფროსი — კრეტინს, ხელფასი კი — მოწყალებას...
აი, დაახლოებით ასეთნაირად...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე